საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 200 (479) პარასკევი, 2 ოქტომბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

11 ოქტომბერს
საქართველოში
არჩევნებია

არჩევნებამდე, რომელიც საქართველოს ბედს გადაწყვეტს, 9 დღე რჩება

წუხელ შევიტყვეთ

ექსტრემისტების ვერაგობა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას აქვს დასაბუთებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გუდაუთაში, სადაც ვლადისლავ არძინბა თავის თანამოაზრეებთან ერთად იმყოფება, გაიცა განკარგულება ოჩამჩირეში აფხაზეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლისადმი და ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქვში დისლოცირებული შენაერთებისადმი. განკარგულების თანახმად, ზემოხსენებულ შენაერთებს 30 სექტემბერს უნდა დაეწყოთ საომარი მოქმედების იმიტირება ქალაქ ოჩამჩირის მიმართულებით, განელაგებინათ რაკეტული კომპლექსები და გაეჩაღებინათ ბრძოლა, ვერტმფრენთა გამოჩენისთანავე შესაძლებლობისდაგვარად გაენადგურებინათ ისინი, ამასთან მათ წინასწარ მზად ჰქონდათ ტექსტი, რომელიც ღია რადიოსადგურის მეშვეობით უნდა გადაცემულიყო, რომ იბომბება მშვიდობიანი მოსახლეობა. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მონაცემებით, აფხაზთა ბანდიტურმა ფორმირებებმა განახორციელეს ეს „იმიტაცია", რის შედეგადაც დაიღუპა ოთხი გვარდიელი.

სროლა აუტეხეს უცხოელ ჟურნალისტებს

1 ოქტომბერს დაახლოებით დღის 1 საათზე ტყვარჩელიდან სოხუმისკენ მოდიოდა 3 უცხოელი ჟურნალისტი: ერთი ინგლისელი და ორი ავსტრიელი. სოფელ ტამიშთან აფხაზთა მხარემ მათ სროლა აუტეხა.

მარტო შიმშილის ბრალია?..

გუშინ ღამით ქალაქ ზესტაფონში მოქალაქეთა დიდი ჯგუფი (400-500 კაცი) არ დაემორჩილა შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებს, შეიჭრა პურის ცენტრალურ ქარხანაში და დაარბია.

მოძალადეებმა ჩაამსხვრიეს შენობის მინები, გააფუჭეს ტრანსფორმატორები, საცხობ-საზელი მოწყობილობა, გაიტაცეს 600-ზე მეტი გამომცხვარი პური, ბუნკერებიდან წაიღეს ასობით კილოგრამი ფქვილი...

ზარალმა 60 ათას მანეთს გადააჭარბა.

ქალაქში აღარ ცხვება პური. მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, რომელიც სულ ცოტა 30-40 საათს მაინც გაგრძელდება.

ჰენრი შარიქაძე.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

დღეს საქართველო მიუახლოვდა იმ ზღვარს, რომლის გადალახვის შემდეგ უნდა გაირკვეს, — შეუძლიათ დღევანდელ თაობებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და დემოკრატიული სახელმწიფოს აღშენების დაწყება, თუ გველის კიდევ ერთი, მრავალწლიანი განსაცდელი

საქართველოს პრობლემა განცალკევებით არ დგას

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს სხდომის ჩანაწერები 1992 წლის 30 სექტემბერი

ეს იყო პირველი სხდომა, რომელიც გაიმართა საქართველოს დელეგაციის ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც გაეროს გენერალური ასამბლეის 47-ე სესიაზე უდიდესი ინტერესით მოისმინეს ბატონ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა, მაშინვე რომ დაიმსახურა მსოფლიო საზოგადოებრიობის უმაღლესი შეფასება. ამიტომ, ბუნებრივია, სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე პირველ საკითხად მოისმინეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტის შედეგების შესახებ ბატონ ე. შევარდნაძის მოხსენება.

— ეს სიტყვა უკვე უნდა თქმულიყო, სიტყვა საქართველოზე გაეროს დარბაზში. მუშაობამ მეტად სერიოზულ დასკვნებამდე მიგვიყვანა, რომლებიც უთუოდ უნდა გაგვეზიარებინა მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის.

ჩვენმა გაუთავებელმა შიდა კონფლიქტებმა ჩრდილი მიაყენა საქართველოს მსოფლიოს თვალში. არადა, ეს არ არის ჩვენი ხალხის ბუნებისთვის დამახასიათებელი. ჩვენი ხასიათის ძირითადი ნიშნები — შემრიგებლობა, შემწყნარებლობა, არააგრესიულობა — ჩრდილში მოექცა და გარედან გვხედავენ როგორც მჩაგვრელებს. ამიტომ საჭირო გახდა მოკლე ისტორიული ექსკურსი იმის საილუსტრაციოდ, რომ საქართველო თავით ბოლომდე მართალია თავის პრობლემებში და რომ მას თანაგრძნობა სჭირდება და არა გაკიცხვა. ამასთან საქართველოს პრობლემა განცალკევებით როდი დგას. იუგოსლავია-კავკასია-ტაჯიკეთი — იკვრება უცნაური სამკუთხედისმაგვარი რაღაც გამაერთიანებელი სიმპტომებით, რომელსაც მსოფლიომ უთუოდ უნდა მიაქციოს ყურადღება. დღეს ამ პრობლემებისადმი უყურადღებობამ ხვალ შეიძლება პლანეტა დიდი განსაცდელის წინაშე დააყენოს. ამიერკავკასია კვლავ რჩება რაღაც ბუფერულ ზონად ქრისტიანულ სამყაროს და ისლამს შორის, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, და თუმცაღა დღეს უკვე სულ სხვა სამყაროა, სხვა მსოფლიო წესრიგია, თუ ამ ფაქტს ბოლომდე არ გავიცნობიერებთ, შეცდომა იქნება.

ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, გინდაც სხვა გარე სამყაროსთან დამოკიდებულებაში, რელიგიის ფაქტორი არაფერს წყვეტს და ამის დასტურად მოგვყავს უაღრესად კეთილმეზობლური ურთიერთობა თურქეთთან და ირანთან. და თუ რაიმე საშიშროებაზე მივუთითებთ ამ მხრივ, მხედველობაში გვყავს რეაქციულ პოზიციებზე მდგომი ძალები, ამასთან ვამბობთ იმასაც, რომ საშიში მხოლოდ ისლამური ფუნდამენტალიზმი კი არ არის, არამედ ბოლშევიზმიც, წითელ-მიხაკისფერი ჭირის საშიშროება არაფრად ჩასაგდები რამ არ არის და მან შეიძლება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას კვლავ ძალზე სერიოზული საფრთხე შეუქმნას. აი, ყოველივე ამას სჭირდება პროგრესული მსოფლიოს ძალისხმევა. სანამ მხოლოდ სიმპტომებია და გაძლიერებულია მოძრაობა, მიხედვა ახლავეა საჭირო.

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე მოსალოდნელი განსაკუთრებულად სერიოზული საფრთხის წინ მისი მოწინავე შვილნი ყოველთვის აფრთხილებდნენ ხოლმე თანამედროვეთ საშიშროებაზე. ჩვენი გუშინდელი ისტორიაც გვახსოვს — ხომ ამბობდა უინსტონ ჩერჩილი, ბოლშევიზმი აკვანშივე უნდა ჩავახრჩოთ, სანამ ყრმა არისო. ფეხადგმულმა და დავაჟკაცებულმა წითელმა ჭირმა რაც მოუტანა კაცობრიობას, ეს დღეს უკვე ყველასთვის ნათელია, ადრე მხოლოდ ერთეულები ხედავდნენ მეტ-ნაკლებად სრულყოფილად. ამდენად გაეროში საქართველოს ლიდერის გამოსვლა უფლებასთან ერთად უდიდესი პასუხისმგებლობაც გახლავთ, ამასთან მხოლოდ საკუთარი ქვეყნის კი არა, მსოფლიოს წინაშეც.

— ახლებურად დაისვა საერთაშორისო სამართლებრივ აზროვნებასთან დაკავშირებული საკითხები. უნდა თქმულიყო და ითქვა კიდეც, რომ ველური სუვერენიზაცია უპირისპირდება სახელმწიფოთა სუვერენიტეტს. სეპარატიზმი შერწყმულია ექსტრემიზმთან და აგრესიულობასთან, და მხოლოდ სახელმწიფოებს კი არა, სამართლებრივ სისტემებსაც არღვევს. თუ რამდენად წარმატებით დავძლევთ მას, ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ის, თუ როგორ შეაბიჯებს კაცობრიობა XXI საუკუნეში.

აფხაზეთში სწორედ სამართლებრივ ექსტრემიზმთან გვაქვს საქმე. კი, ეროვნულ უმცირესობათა უფლება დაცული უნდა იყოს, ამაზე სხვა აზრი არ არსებობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით უმრავლესობის უფლება გაითელოს ფეხქვეშ. უმცირესობის უფლების გარდა არსებობს უმცირესობის პასუხისმგებლობაც, ბოლოს და ბოლოს. და, საერთოდ, უმცირესობაც და უმრავლესობაც ადამიანებისგან შედგება და უპირველესად, აი, ამ ადამიანის, პერსონალურად თითოეულის უფლება უნდა იყოს დაცული მისსავე პასუხისმგებლობიდან გამომდინარე.

უდიდესი როლი ახალი მსოფლიოს სახის ჩამოყალიბებაში უნდა შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. სწორედ იგი უნდა იქცეს მშვიდობის, წესრიგის, სტაბილიზაციის გარანტად. ეს კი შეუძლებელია, თუ ძირეულად არ გარდაიქმნა მისი საქმიანობა. გაეროს ახლანდელი გენერალური მდივანი ბატონი ბუტროს გალი რეფორმების განხორციელებას აპირებს, რასაც უთუოდ აქტიურად უნდა დავუჭიროთ მხარი.

ადრე, სსრ კავშირი ფეხზე რომ იდგა, პლანეტაზე მშვიდობის ბედს ძირითადად ორი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა განსაზღვრავდა. მე ამას ყოველთვის აღვიქვამდი როგორც კეთილის და ბოროტის მარადიულ ჭიდილს. ახლა, როცა ბოროტი დაემხო (ამ მარცხში ჩვენი ვაიბედის გამო ჩვენც შიგ გავიჭყლიტეთ), სტაბილიზაციის გარანტად მსოფლიოს ამერიკა მოევლინა.

ვფიქრობ, ალბათ ყველა კეთილი ნების ადამიანის მარადი ნატვრაა სიკეთის და სამართლიანობის ერთ ხელში ხილვა. თუმცაღა ვიცით, ძალა რატომღაც სიავეს უფრო ახლავს ხოლმე, სიკეთე მყიფეა და როგორც კი ძალას იგდებს ხელთ, რაღაც აკლდება. იქნებ სიკეთე სწორედ თავის დაუცველობით არის კეთილშობილება და მებრძოლი სიკეთის გაგება თავისთავად ნონსენსია?! რა ვიცი... იცის კი ვინმემ?! არც ეს ვიცი. ის კი ვიცი, ვგრძნობ, რომ დადგა დრო, როცა პლანეტაზე, ამ ვეებერთელა, მაგრამ ერთ ციცქნა პლანეტაზე გონიერ ადამიანთა თავის გამოდებით შეიქმნას და ამუშავდეს დამცავი მექანიზმი — თითოეული ადამიანის, თითოეული ერის, ქვეყნის, რეგიონის მშვიდობის, უშიშროების დამცავი მკვიდრი, სანდო საშუალება, რომ არ დავიშალოთ, არ დავქუცმაცდეთ, ბიჭების სისხლით და დედების ცრემლით არ მოვრწყათ სამყაროს ეს ერთი წერტილი, დედამიწა რომ ეწოდება.

ბატონმა შევარდნაძემ ილაპარაკა აგრეთვე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ბატონ ბორის ელცინთან შეხვედრის შედეგებზე და აღნიშნა, რომ ბატონი პრეზიდენტი იგივე პოზიციებზე დგას, რომელზედაც იდგა სამი სექტემბრის ხელშეკრულების დადების დროს. ითქვა ისიც, რომ 11 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კვლავ გაიმართება საქართველო-რუსეთის უმაღლესი დონის შეხვედრა, რომელზეც წინა შეხვედრის შედეგებს განიხილავენ.

დღის წესრიგის შემდეგი საკითხის — „მომუშავე პენსიონერთათვის ადრე დაწესებული შეზღუდვების გაუქმების შესახებ" განხილვაზე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მთავრობასთან, საბიუჯეტო უწყებებთან შეთანხმებით წამოაყენა წინადადება, რომ 1 ოქტომბრიდან მომუშავე პენსიონერებს მოეხსნათ აქამდე არსებული შეზღუდვები, კერძოდ გაუქმდეს ეგრეთ წოდებული „პერის" კანონი, რომელიც პენსიონერს გარკვეულ თანხაზე მეტის გამომუშავების უფლებას ართმევდა. ერთსულოვანი მხარდაჭერით წინადადება მიიღეს. აი დადგენილება „დედის დღის" დაწესების და მოწყობის თაობაზე კი, როგორც იტყვიან, ანათემას გადაეცა ისევე ერთსულოვნად. განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია დადგენილების მე-4 პუნქტმა — „დედის დღის" გამომუშავებული თანხები მოგების ჩათვლით ჩაერიცხოს საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას... ობოლი ბავშვების დასახმარებლად".

უნდა ითქვას, რომ საწინააღმდეგო არც თავად „დედის დღისა" ჰქონდა არავის და მით უმეტეს — არც ობოლი ბავშვების დახმარებისადმი, სახელმწიფო საბჭოს წევრები აღაშფოთა შაბათ დღეს გამომუშავებული თანხების დემოგრაფიული საზოგადოების ანგარიშზე მოქცევის პერსპექტივამ, რადგან ამ საზოგადოებას ადრე ჰქონდა ამ მიმართულებით გართულება-გაუგებრობანი. ასე რომ, ამ დღის დაწესება, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა საკითხი, მომავალი პარლამენტის გადასაწყვეტად დატოვეს.

გალინა ხარებაშვილი.



პარლამენტი უნდა აირჩეს, დემოკრატიამ უნდა გაიმარჯვოს!

მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი

პატივცემულო თანამემამულენო!

თავს ვალდებულად ვთვლი მოგმართოთ, რადგან არცთუ დიდი დრო დარჩა ჩვენი ახალი ისტორიის იმ უმნიშვნელოვანეს დღემდე, როდესაც უნდა ავირჩიოთ პირველი ეროვნული პარლამენტი.

დღეს საქართველო მიუახლოვდა იმ ზღვარს, რომლის გადალახვის შემდეგ უნდა გაირკვეს, — შეუძლიათ დღევანდელ თაობებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და დემოკრატიული სახელმწიფოს აღშენების დაწყება, თუ გველის კიდევ ერთი, მრავალწლიანი განსაცდელი, რომლის მსგავსი, სავალალოდ, მრავალი გვქონია ჩვენს ისტორიაში.

უწინარესად მინდა თქვენთან ერთად გავიხსენო ბოლო ერთი წლის ამბები, რომლებმაც გაგვიყვანეს ამ ზღვარზე, მასთან ერთად კი მრავალი და ძნელად გადასალახავი სირთული შეგვიქმნეს.

1991 წლის 19 აგვისტოს ეროვნული გვარდიის მიერ მოსკოვური ხუნტისა და მასთან მორიგებული ჩვენი ყოფილი „ხელისუფლების" მიმართ დაუმორჩილებლობით საქართველოში ფაქტობრივად რევოლუცია დაიწყო, რომელსაც სამოქალაქო ომიც მოჰყვა. საქართველოში შეიქმნა სამხედრო საბჭო. მსოფლიო ისტორიაში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც სამხედრო დიქტატურას ერი ანარქიისგან უხსნია. მადლობა ღმერთს, ჩვენ ეს არ დაგვჭირვებია. მეტსაც ვიტყვი, სამხედრო დიქტატურა შეუძლებელი იყო, რადგან არ არსებობდა თვით სამხედრო სტრუქტურა და ყოველგვარი დიქტატურის ცდები უფრო მეტი ანარქიისა და განუკითხაობის, ადამიანთა უფლებების მასობრივად დარღვევის საფუძვლად გადაიქცეოდა. სამხედრო საბჭოზე უარი ითქვა. შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, არალეგიტიმური, მაგრამ არსით ეროვნული ძალების მნიშვნელობის მქონე საკრებულო. ავტორიტარიზმის წინააღმდეგ ქედმოუხრელი ბრძოლის შედეგად საქართველომ დასავლეთის სახელმწიფოთა სიმპათიები მოიპოვა და იგი მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ჩვენ ეს უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ ავანსი მსოფლიოს მხრიდან, რომელსაც სწამს, რომ საქართველო სწორ გზას ადგას. ყოველივე ამას დამტკიცება უნდა, უმთავრესი ნაბიჯი კი აქ დემოკრატიული არჩევნების საშუალებით ჩამოყალიბებული ხელისუფლების შექმნაა. ამას ელის ჩვენგან მთელი მოწინავე მსოფლიო.

არის მეორე უმტკივნეულესი საკითხიც. კომუნისტთა 70-წლიანი მმართველობის შედეგად ინსპირირებულმა ეთნოკონფლიქტებმა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, რასაც შემდგომ გამსახურდიასა და ქართველ ნაციონალ-ბოლშევიკთა ერთწლიანი მმართველობისას ჩადენილი პირდაპირი დანაშაულებრივი მოქმედებაც დაემატა, ამ რეგიონებში შეიარაღებულ დაპირისპირებამდე და სისხლისღვრამდე მიგვიყვანა, ბოლოს კი უცხო ძალის მხრიდან აგრესიაც შესაძლებელი გახადა. შეიარაღებული ძალების კონტინგენტი აფხაზეთში გზების გასახსნელად და იქ თავშეფარებული ტერორისტული ბანდების ასალაგმავად შევიყვანეთ, მაგრამ იქ მწარე სინამდვილისთვის თვალებში ჩახედვამაც მოგვიწია. ნათელი გახდა, რომ არსებობდა საქართველოს დანაწევრების დიდი ხნის წინათ მომზადებული გლობალური გეგმა, რომლის ფესვები ჩვენი სახელმწიფოდან შორს, პანისლამური მსოფლმხედველობის სიღრმეებშია საძებნი. შეიარაღებული ძალების არცთუ მრავალრიცხოვანი კონტინგენტის თავგამოდების წყალობით მოხერხდა, რომ სამამულო ომში მოულოდნელად ჩაბმულებმა შევძელით აფხაზეთის ტერიტორიის თითქმის 80 პროცენტზე კონტროლის სწრაფი დამყარება. ორ ასეულამდე ვაჟკაცი გმირულად დაიღუპა საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლაში, ჩვენ კი ჯერ კიდევ ვერაფრით ვერ დავეხმარეთ მათ ოჯახებს, შვილებს. არ შემიძლია აქვე გულისწყრომა არ გამოვთქვა სახელმწიფო საბჭოს მთელ რიგ წევრთა მიმართ, რომლებმაც შეგვანელებინეს სამხედრო ოპერაციების წარმოება. ამან გამოიწვია დროის დაკარგვა, ფაქტობრივად ლაშქრის პრინციპებზე შედგენილ შეიარაღებულ ძალებში მოახდინა ნაწილობრივი დემორალიზება, გაზარდა მსხვერპლი.

ცალკე მინდა შევეხო თავად შეიარაღებულ ძალებს. ვიცი, მათი გარეგნული იერი თუ საქმიანობა ხშირად ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. 1991 წლის აგვისტოში მაშინდელი ეროვნული გვარდია, რომელმაც 10 000 კაცს მიაღწია, მეტ-ნაკლებად დისციპლინირებული ორგანიზმი იყო, რომლის აღზრდისა და განვითარების კვალდაკვალ ჩვენ ჩამოგვეყალიბებოდა ეროვნული არმია. რაც გამოვიდა აქედან და რამაც შეგვიშალა ხელი, ჩვენ ყველამ ვიცით. იანვრიდან მოყოლებული კი გვარდიას არ ჰქონდა ნორმალური ზრდისა და განვითარების საშუალება. ქვეყანაში სამოქალაქო ომის კერების ჩაქრობას ახალი რესურსები, ახალი ადამიანები სჭირდებოდა. ჩვენ მოვუწოდეთ და არცთუ დიდი რაოდენობით შევსება მივიღეთ. ამ ადამიანებს სწავლისა თუ წვრთნის დრო, კარგად მოგეხსენებათ, მაშინ არავის ჰქონდა. ამან არაერთი არასასურველი, არაჯანსაღი მოვლენაც გამოიწვია. ვცადეთ ერთგვარად გაგვემიჯნა ფუნქციები და თავდაცვის სამინისტროსთვის იმის საშუალება მიგვეცა, რომ სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების ჩამოყალიბების პროცესისათვის ხელი არ შეეშალა მიმდინარე მოვლენებს. გადავწყვიტეთ, რომ გვარდიის სამმართველო ამ ეტაპზე დამოუკიდებლად იარსებებდა და საბრძოლო მოქმედებათა წარმოების ამოცანებს იკისრებდა, ხოლო თავდაცვის სამინისტრო ეროვნული სამხედრო სტრუქტურების ჩამოყალიბების ურთულესსა და გრძელვადიან საქმიანობას შეუდგებოდა. მაგრამ უკვე აგვისტოში იძულებული გავხდით აფხაზეთში შეგვეყვანა ერთიანი შეიარაღებული ძალა. მათ შორის, თავდაცვის სამინისტროს ბოლომდე დაუკომპლექტებელი ბრიგადებისა და ბატალიონების სახით. ჩვენი მეომრები ფაქტობრივად საბრძოლო მდგომარეობაში სწავლობენ სამხედრო საქმეს. ასეთ ვითარებაში მკაცრ დისციპლინასა და სუბორდინაციაზე ლაპარაკი ძალზე ძნელია. ამ თვეებმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა ნახევრად ლაშქრის პრინციპებზე შედგენილი არმიის სისუსტეები. მაგრამ როგორ მივაღწიოთ ასეთი მნიშვნელოვანი სტრუქტურის მშენებლობის ნორმალურ პირობებს, თუ ქვეყანაში სტაბილური ვითარება არ გვექნა? მოხალისეთა ინსტიტუტით შორს ვერ წავალთ, საყოველთაო გაწვევა კი (დეზერტირობის შემთხვევებიც) დაკავშირებულია მშობელთა და ბებუთა შიშთან მრავალ მიზეზთა გამო და, რაც მთავარია, ჩვენ არ გვაქვს სრულყოფილი იურიდიული მექანიზმი, კანონი, რომელიც სამხედრო სამსახურს სავალდებულოს გახდიდა, რომელსაც მოქალაქეც შინაგანად გაითავისებდა და აღიარებდა, რადგან არ გვყავს ლეგიტიმური ხელისუფლება, პარლამენტი.

სამხედრო სტრუქტურის, ქვეყნის თავდაცვის გარანტიების შექმნა უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული არჩევით და კანონიერ საკანონმდებლო ორგანოს არსებობასთან. კარგად ვიცი, ხელისუფლებაში მოკალათებას მოწყურებული მთელი რიგი პოლიტიკური ძალები ავრცელებენ ხმებს, თითქოს ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობა არჩევნების წინააღმდეგი იყოს. ეს მტკნარი სიცრუეა. ვფიქრობ, რომ ზემოთ მოყვანილი ვითარების ანალიზმა ყველა ჩვენთაგანისთვის ცხადყო, თუ რაოდენ აუცილებელია არჩევნები თუნდაც ქართველი სამხედროებისთვის. სხვაგვარად არმიას ვერ შევქმნით, მხოლოდ ხელს შევუწყობთ შეიარაღებული ადამიანების პარპაშს. 11 ოქტომბერი კი ჭეშმარიტად შეიძლება გახდეს ნგრევიდან შენებისკენ შემობრუნების, გარდატეხის, ახლის დასაწყისის დღე.

მოქალაქენო! მოგიწოდებთ გამოიჩინოთ მაქსიმალური მოქალაქეობრივი აქტიურობა. სწორედ მასზეა დღეს დამოკიდებული როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს, ისე მძლავრი ეკონომიკისა და მონოლითური, მაღალპროფესიული არმიის შექმნა. გამოვთქვამ იმედს, რომ თქვენი არჩევანი არ იქნება მემარჯვენე-რადიკალური თუ მემარცხენე-პროკომუნისტური ძალების სასარგებლოდ, რაც ალბათ, კიდევ არაერთ განსაცდელში ჩაგვაგდებდა, არამედ ბოლოს და ბოლოს ქვეყნის ლიბერალურ, ინტელექტუალურ ძალებს მიეცემათ სახელმწიფოს მშენებლობის საშუალება.

პარლამენტი უნდა აირჩეს!

ანარქიას ბოლო უნდა მოეღოს!

საქართველოს დანაწილების მოსურნეთ საკადრისი პასუხი უნდა მიეზღოთ!

დემოკრატიამ უნდა გაიმარჯვოს!

თენგიზ კიტოვანი.
1992 წლის 28 სექტემბერი.

ნომერში

- ⊙ პრივატიზაცია: ნამდვილი და ფარული. 2
- ⊙ ყაჩაღები, სათურქეთე ბახმაროს ტყეები და იმედიანი გურულები. 3

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

დეკრეტი

მომუშავე პენსიონერთათვის ადრე დაწესებული შეზღუდვების გაუქმების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო აღნიშნავს, რომ მომუშავე პენსიონერებისთვის დღემდე მოქმედი შეზღუდვები დანიშნული პენსიების გაცემასთან დაკავშირებით მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ითვალისწინებს რა მომუშავე პენსიონერთა თხოვნას, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრიდან ყველა მომუშავე (მათ შორის ვადიანი ხელშეკრულებით) პენსიონერს, დაკავებული თანამდებობის მიუხედავად, პენსია ხელფასთან (შემოსავალთან) ერთად მიეცეს სრულად, ყოველგვარი ზღვრული ოდენობის დაწესების გარეშე.
2. გაუქმდეს ყველა ადრე შემოღებული შეზღუდვა ამ დეკრეტის პირველი მუხლის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 1 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმში

პურპროდუქტებითა და ნავთობპროდუქტებით რესპუბლიკის მოსახლეობის მომარაგებისათვის

30 სექტემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე კვლავ განიხილეს ღონისძიებანი, რომლებსაც რესპუბლიკის პურპროდუქტებითა და ნავთობპროდუქტებით მომარაგების გასაუმჯობესებლად ახორციელებენ შესაბამისი სამინისტროები და უწყებები.

საბჭოს სხდომაზე მოისმინეს საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს და კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" ხელმძღვანელთა ინფორმაციები სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 27 აგვისტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ და გაწეული მუშაობა კვლავ არასაკმარისად ჩათვალეს, რადგან ვერ აღმოიფხვრა შეფერხებები პურის ცხობის და ნავთობპროდუქტების შემოტანის საქმეში.

საბჭოს პრეზიდიუმმა კონკრეტული დავალებები მისცა რესპუბლიკის მთავრობის და შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე ქალაქის მერიის ხელმძღვანელებს და მათი შესრულება ყველას უპირველეს მოვალეობად მიიჩნია.

პურპროდუქტებითა და ნავთობპროდუქტებით რესპუბლიკის მომარაგების საკითხს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი მუდმივ კონტროლს გაუწევს.

შეჭირვებული მოყვასის ერთგული, უღალატო და საიმედო შემწე

მისალმება საქართველოს ღვთისშვილთა კავშირს

მთელი სულითა და გულით ვულოცავ ღვთისშვილთა კავშირს დაარსების მესამე წლისთავს. საქართველოში ღვთის ჭეშმარიტი რწმენისა და დიდი ჰუმანისტური ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრება, რისთვისაც თქვენი კავშირი იღვწის, ჩვენი ერის სულიერი განწმენდისა და გადარჩენის უტყუარი საწინდარია.

ღვთისშვილთა კავშირმა, თავისი არც ისე ხანგრძლივი არსებობის მანძილზე, უკვე მოასწრო სიტყვითა და საქმით დაემტკიცებინა, რომ ამ ორგანიზაციის სახით შეჭირვებულ მოყვასს ერთგული, უღალატო და საიმედო შემწე ჰყავს.

ვიმედოვნებ, რომ ღვთისშვილთა კავშირის ღვაწლს ღირსეულად დააფასებს ქართველი ხალხი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.

საუკეთესო სურვილებით

ედუარდ შევარდნაძე.

სამძიმრის დეპეშა პავლე ასლანიდის ოჯახს

გთხოვთ მიიღოთ გულწრფელი სამძიმარი დიდად პატივცემული ბატონი პავლეს გარდაცვალების გამო. ძნელი წარმოსადგენია საქართველოს ჟურნალისტთა ოჯახი პავლე ასლანიდის გარეშე. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ყველა ჩვენგანისათვის. ბატონ პავლეს ცხოვრება სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს მშობლიური ქალაქი, როგორ უნდა იცხოვრო მისი საზრუნავით და ინტერესებით. ეს თვისებები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისში", რომელსაც იგი 30 წელიწადი ედგა სათავეში. მჯერა, ბატონი პავლე ასლანიდის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და თანამოაზრეების გულში.

ედუარდ შევარდნაძე.
1. 10. 92 წ.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და რესპუბლიკის მთავრობისაგან

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო და რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ჟურნალისტი, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" ყოფილი რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

პავლე ვასილის ძე ასლანიდი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში

შეიქმნა პავლე ასლანიდის დამკრძალავი კომისია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის სანდრო კავსაძის თავმჯდომარეობით.

პავლე ასლანიდის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 1 და 2 ოქტომბერს, 17 საათზე, გამოსვენება — 3 ოქტომბერს, 14 საათზე, განსვენებულის ბინიდან — კონსტანტინე გამსახურდიას პროსპექტი, № 3, IV სადარბაზო.

დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

11 ოქტომბერს
საქართველოში
არჩევნებია

სიძნელეების მიუხედავად...

მიუხედავად რთული ვითარებისა, ორგანიზებულად დაიწყო საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადება ხარაგაულის რაიონში.

საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე ავირჩიეთ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი, შევიმუშავეთ და დავამტკიცეთ პარლამენტის არჩევნებისათვის მზადების ღონისძიებათა გეგმა.

დროულად გაიარეს რეგისტრაცია ადგილობრივმა დეპუტატობის კანდიდატებმა. შეიქმნა საარჩევნო უბნები და დადგინდა მათი ცენტრები.

დაიწყო დეპუტატობის კანდიდატთა სააგიტაციო კამპანია. რაიონული გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა ყველა კანდიდატის ბიოგრაფია და წინასაარჩევნო პროგრამა. ამომრჩევლებთან შეხვედრები ძალზე მწვავედ მიმდინარეობს.

შეფერხებებიც გვაქვს. ვერ მოხერხდა დეპუტატობის კანდიდატების სურათების, ბიოგრაფიების და პროგრამების პლაკატებად გამოცემა, ვერ ვამრავლებთ კანდიდატთა საარჩევნო პროგრამებს.

ვერ მივიღეთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოყოფილი ორი ტონა ბენზინი. ბევრ საარჩევნო უბანთან არ გვაქვს სატელეფონო კავშირი.

რაიონის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით ვცდილობთ, პრობლემები დავძლიოთ და არჩევნები ორგანიზებულად მოვაწყოთ.

ი. ვეფხვაძე,
ხარაგაულის № 48 ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

ხმა ერის გასაგონად

ეს არჩევნები შექმნილ ვითარებაში გადარჩენისა და მომავლის არჩევანია!

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური საზოგადოების მიმართვა განათლების მუშაკებისადმი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით

ძვირფასო კოლეგებო! მძიმე დღეები უდგას ჩვენ მრავალტანჯულ სამშობლოს. ერის მთლიანობის, ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. მოვლენათა ტრაგიკული განვითარება განათლების სფეროსაც შეეხო.

ჩვენი უფლებების შემზარავი სინამდვილეა მოშლილი სასწავლო პროცესი, ბედის ანაბრად მიტოვებული ბავშვები, სტუდენტები, განათლების მუშაკთა ნაწილი — მომიტინგენი, გაფიცულნი, მოძმეთა წინააღმდეგ ამხედრებულნიც კი, დარბეული სკოლები, გაძარცული კაბინეტ-ლაბორატორიები, აუდიტორიები, საკლასო ოთახები. კარგად ვგრძნობთ, რომ ამ ტრაგიკულ ვითარებაში ყოველი ჩვენგანია დამნაშავე, დამნაშავეა თუნდაც იმიტომ, რომ წინ ვერ აღუდექით ჩვენს გვერდზე, ჩვენს თვალწინ განვითარებულ უმსგავსო მოვლენებს, ვერ მოვერიეთ ჩვენზე გაცილებით მცირე, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, უფრო ენერგიულ გზასაცდენილ კოლეგებს. ჩვენ ხომ ყველას ერთად აღმზრდელი, მასწავლებელი გვქვია.

დროა გონს მოვეგოთ, დავფიქრდეთ, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება — დავიღუპებით. ხსნის, იმედის მომცემი მოვლენები ვითარდებიან, განსაცდელში მყოფი სამშობლო არჩევნებისათვის ემზადება. ეს არჩევნები მხოლოდ სახელმწიფო მართვის ორგანოს არჩევნები როდია, შექმნილ ვითარებაში ის ერის გადარჩენისა და მომავლის არჩევანია. მთავარია, სწორი არჩევანი გავაკეთოთ.

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. სხდომის მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ბატონ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურას საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ ასარჩევად და გამოთქვეს ღრმა რწმენა, რომ ახლადარჩეული პარლამენტი, მისი თავმჯდომარე, სახელმწიფოსა და საზოგადოებრიობის განათლების პრობლემებისადმი შემობრუნების გარანტი იქნება, უზრუნველყოფს სწავლა-განათლების საქმის პრიორიტეტულ განვითარებას, ჭეშმარიტად ქართული ეროვნული განათლების სისტემის შექმნასა და დაფუძნებას.

ძვირფასო მეგობრებო! გვეძლევა საშუალება გავამართლოთ ერის იმედები, აღმოვჩნდეთ მოწოდების სიმაღლეზე, სწორი არჩევანი მოვახდინოთ განსაცდელში მყოფი სამშობლოს პარლამენტის ჩამოსაყალიბებლად, ხმა მივცეთ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და სხვა ღირსეულ მამულიშვილებს.

თქვენი კეთილგონიერების იმედი გვაქვს, შეცდომის დაშვება აღარ შეიძლება.

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი

ყველაზე საჭირო ხმები იქნება ვეტერანებისა!

საპარლამენტო არჩევნებისადმი დღეს მთელი მრავალტანჯული საქართველოს ყურადღება მიპყრობილი. როგორ ჩატარდება იგი? მასზე ხომ დამოკიდებულია რესპუბლიკის ბედი.

სწორედ ამ საკითხზე შეიკრიბა 29 სექტემბერს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რესპუბლიკური აქტივი, რომელიც მოხსენებით გახსნა ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, პოლკოვნიკი, პროფესორი ალექსანდრე ხერხეძე.

მომხსენებლისა და ორატორების — ნიკოლოზ ჯაშის, კირილე უკლებას, ნესტორ მაისაიას, ალექსანდრე ვაშაკიძის, ლევან მშვენიერაძის, აკაკი კვილაძის ერთსულოვნება იყო გამოხატული ვეტერანთა მილიონ ორასიათასიანი არმიისათვის უდიდესი როლის მინიჭებაში არჩევნების სასურველ დონეზე და სასურველი შედეგებით ჩატარებაში. დღეს ხომ საქართველოს ყველა მცხოვრების სურვილი უნდა იყოს ერთიანი, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების შექმნა. ეს კი დამოკიდებულია არჩევნებზე.

ვეტერანთა აქტივის კრებამ ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი სცა გამოჩენილი ქართველი მხედართმთავრის გენერალ-ლეიტენანტის, აკადემიკოს ირაკლი ჯორჯაძის ხსოვნას.

კრების დასასრულს სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა იოსელიანი და საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მდივანი ვახტანგ გოგუაძე.

— სრული სამოქალაქო წესრიგი არჩევნების დღეს!

— ხმა მივცეთ ერისა და სახელმწიფოს ლიდერს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს!

— მხოლოდ ღირსეულნი პარლამენტში!

აი დედაარსი მათი გამოსვლებისა.

ვეტერანთა აქტივის კრებამ ერთხმად მიიღო ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ყველა ვეტერანისადმი მიმართვა.

მიმართვაში ნათქვამია:

ძვირფასო მეგობრებო! პარლამენტის არჩევნებამდე დღეებიღა დარჩა. ეს არჩევნები ჩვენი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა. მასშია გამოსავალი იმ რთული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან, რომელშიც დღეს ვართ.

ხალხი დაიქანცა. ქვეყანაში განუკითხაობა, ქაოსი, ბანდიტების თარეში, შემზარავი სისხლისღვრაა. დღევანდელი გართულებული ვითარებით სარგებლობენ ისინი, ვისაც ქვენა ზრახვები ამოძრავებს. ამას ნათელყოფს აფხაზეთის ექსტრემისტული ძალების დანაშაულებრივი მოქმედება, რომლებიც გაუგონარ თავხედობამდეც კი მივიდნენ — აფხაზეთში დაქირავებული მკვლელები შემოიყვანეს და დიდ განსაცდელში ჩააგდეს აფხაზეთის მოსახლეობა.

მხოლოდ ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს ხელეწიფება ასეთი უკიდურესად რთული ვითარებიდან გამოიყვანოს საქართველო, დაამყაროს წესრიგი, განამტკიცოს კანონის უზენაესობა, უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა.

არჩევნებზეა ახლა ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის ბედი დამოკიდებული. ერთიანი, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების შექმნა დღეს საქართველოს ყველა მცხოვრების სურვილია.

ძვირფასო ვეტერანებო! ამომრჩეველთა მესამედს ვეტერანები შევადგენთ. ამიტომაც ვეტერანებმა დიდი გულისყურით და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით უნდა მოახდინონ არჩევანი — ხმა მისცენ იმ კანდიდატებს, რომლებსაც შესწევთ უნარი პრაქტიკული საქმით ემსახურონ საქართველოს ნათელ მომავალს.

ვეტერანებმა დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ბატონ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურის წამოყენებას საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე. ერთსულოვნად გამოითქვა იმედი, რომ უკლებლივ ყველა ვეტერანი, როგორც ყველა საღად მოაზროვნე ამომრჩეველი, ვისაც საქართველოსათვის სიკეთე უნდა, ხმას მისცემს მას.

სათქმელი უნდა ითქვას

იმპერიული ამბიციების ტყვეობაში

თარიელ დუდაური,
ცხინვალის რეგიონის პრობლემათა სპეციალური სამთავრობო კომისიის წევრი.

1992 წლის 25 სექტემბერს გაიმართა რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც ფაქტობრივად უარყო მოსკოვში 3 სექტემბერს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძესა და ბ-ნ ბორის ელცინს შორის მიღწეული შეთანხმება და ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაამტკიცა რუსეთის გარკვეული ძალების იმპერიული ამბიციები დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ.

საგულისხმოა, რომ სესიაზე მიიწვიეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დელეგაცია, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ხომ საქართველოს შემადგენელი ნაწილია და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს სესიაზე მისი მიწვევა საქართველოს სუვერენული უფლებების შელახვაა! საგულისხმო ფაქტია უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზის ფოიეში მოწყობილი ფოტოგამოფენაც, სადაც აფხაზეთის დელეგაციას ჭურვებიც კი გამოუტანია იმის დასადასტურებლად, თუ როგორ „უსწორდებიან" „სახელმწიფო საბჭოს ჯარები" მშვიდობიან მოსახლეობას."

რუსეთის უზენაეს საბჭოს არავითარი სამართლებრივი და კონსტიტუციური უფლება არა აქვს მომრიგებელი მოსამართლის, მედიატორის როლში გამოდიოდეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში. რუსი პარლამენტარები (წითელ-ყავისფერნი და, შესაძლებელია, დემოკრატებიც) საოცარ გულმავიწყობას იჩენენ რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის ცნობის საერთაშორისო აქტის მიმართ, რომელსაც წლეულს ორ ივლისს მოაწერეს ხელი.

რუსეთის პარლამენტის 25 სექტემბრის დადგენილებით ჩერდება არსებული შეთანხმებით საქართველოსათვის გათვალისწინებული სამხედრო ტექნიკის, იარაღისა და ტყვია-წამლის გადაცემა.

ეს დიდად მტკივნეულია ჩვენთვის, რადგან საქართველოს შეიარაღებული ძალები ჩამოყალიბების სტადიაშია და მათი ბრძოლისუნარიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რუსეთის არმიისგან გადმოცემული ტექნიკის ხარისხსა და რაოდენობაზე. ჩვენი უსაფრთხოება მოითხოვს თანამედროვე არმიის შექმნას. დღეს, საქართველოს საზღვრები და განსაკუთრებით საჰაერო სივრცე ფაქტობრივად დაუცველია, რაც ობიექტურად საქართველოში განლაგებულ რუსეთის არმიასთან კოორდინირებული მოქმედების აუცილებლობას გვიკარნახებს. ამით „მოხერხებულად" სარგებლობენ რუსეთის იმპერიული ძალები და გვაიძულებენ დაგვათმობინონ.

ჩვენი სასიცოცხლო ინტერესებისთვის გადაუდებელი ამოცანაა სამხედრო რეფორმა. საქართველოს უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა. საამისოდ აუცილებელია საკუთარი სამხედრო წარმოების შექმნა იმ ბაზის ეფექტიანი გამოყენებით, რომელიც გვაქვს.

მხოლოდ რუსეთის არმიაზე ორიენტაცია სასიკეთოს არაფერს მოგვიტანს. საქართველო დღეს გაეროს წევრია და ყოველნაირად უნდა ვეცადოთ სამხედრო თანამშრომლობა დავამყაროთ ნატოს წევრ ქვეყნებთან.

აფხაზეთის მხარემ არძინბას თავგამოდებული მცდელობით შექმნა უკანონო გვარდია. კონფლიქტის დაწყებისთანავე გუდაუთასთან დისლოცირებულმა, უშუალოდ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულმა სამხედრო ნაწილმა გენერალ რეპინის მითითებით აფხაზურ მხარეს გადასცა დიდძალი სამხედრო იარაღი (ათასამდე ავტომატი, ტყვიამფრქვევები და სხვა).

ქართველი მეომრების დაღვრილ სისხლს, ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილი გადამთიელების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯას და აწიოკებას არ სჯერდებიან რუსი პარლამენტარები. მათი ზრახვები უფრო შორსაა გამიზნული. რუსეთის პარლამენტი, იმპერიული ამბიციებით გაჟღენთილი, ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს, თავისი გავლენის ქვეშ მოიქციოს საქართველო და წაგლიჯოს მას ძირძველი, ისტორიულად ქართული მიწა-წყალი.

აქ შეიძლება სამწუხარო პარალელის გავლება ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის „მშვიდობიან" მოგვარებასთან.

ამ რეგიონში მოჩვენებითი სიმშვიდეა. აქაც გამალებით იარაღდება ოსური მხარე. აქტიურად იყენებენ როკის გვირაბს, რომელსაც ოსები აკონტროლებენ. თუ ამასაც დავუმატებთ, რომ სრულიად უკონტროლოდ ცხინვალის რეგიონში მრავალი ათასი ლტოლვილი (და არა მარტო ლტოლვილი) შემოიყვანეს, ხოლო ქართველ ლტოლვილებს დაბრუნების შესაძლებლობა ჯერჯერობით არა აქვთ, აშკარაა დემოგრაფიული ექსპანსია. საქართველოსადმი მტრულად განწყობილი სეპარატისტული ძალების შეიარაღების ფონზე ეს ფაქტი კატასტროფულ ვითარებას გვპირდება.

სცენარი ხელოვნურად გაღვივებული ეთნოკონფლიქტებისა საქართველოში ფაქტობრივად არ იცვლება. რუსეთის გარკვეული ძალები ეთნიკური კონფლიქტების საშუალებით ცდილობენ შეინარჩუნონ გაბატონებული მდგომარეობა საქართველოში. ეს მათი უკანასკნელი კოზირია.

დღეს უფლება აღარა გვაქვს ვინმეს ვაპატიოთ საქართველოს სუვერენიტეტის და მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ცდები. დათმობა და კომპრომისი კონფლიქტის შემდგომ გაღვივებას, სისხლისღვრას და ეროვნულ კატასტროფას გვიმზადებს.

წერილი რედაქციას

პატივცემულო რედაქციავ!

ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა რატი კიკაჩეიშვილის სურათის ნახვამ, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 15 სექტემბრის ნომერში იყო გამოქვეყნებული.

უკვე მერამდენე ახალგაზრდას დავტირით, თითქმის შემძულდა ამ გაზეთის გადაშლა და წაკითხვა. აღარ მყოფნის ნერვები, როდემდის უნდა იცლებოდეს საქართველო ამ ლამაზი, უშიშარი და ნამდვილი გმირი ბიჭებისგან?

იქნებ ჯობდეს ყველა ეს სურათი, მათი გვარები და ასაკი ამოიწეროთ და იმ ცოდვის შვილს, რომლის სახელის ხსენებაც არ მინდა, გროზნოში გაუგზავნოთ, „მამულიშვილად" რომ მოჰქონდა თავი. იქნებ მათმა ღიმილშეყინულმა სახეებმა მოიყვანოს გონს და იკმაროს ის სისხლი, რომელიც „თავის სათაყვანო" მხარეში დაგვაღვრევინა.

გულდამძიმებით თქვენი მკითხველი

ნ. ბეჟაშვილი,
ქ. წნორი.

ამირან გაბისონია,
რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი.

საზრისი

პრივატიზაცია (განკერძოება): ნამდვილი და ფარული

კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის მართვის გამოცდილება გვასწავლის, რომ **პრივატიზაცია, საჭიროების შემთხვევაში სამთავრობო ეშელონიდან ორგანიზებული პროცესია. იგი სახელმწიფოს სამთავრობო პოლიტიკაა და ამ საფუძველზე მისი წარმატების მთავარი საწინდარი ხდება სწორედ სამთავრობო პოლიტიკური ნება.** ასეა იმ ქვეყნებში, სადაც ცივილიზებული პრივატიზაცია ტარდება, სადაც ქონების პრივატიზაცია და ნაციონალიზაცია ურთიერთმონაცვლე ლოკალური დინამიკური პროცესისა და სახელმწიფოს ინიციატივით ეკონომიკის გაჯანსაღების ხასიათს ატარებს. ამ თვალსაზრისით შეიძლება კიდევაც ითქვას, რომ **კაპიტალიზმი არ იცნობს პრივატიზაციის ჩვენეულ სიტუაციას,** რამდენადაც იგი არ იცნობს „თავის" სსრკ-ს და არასოდეს უსარგებლია „საერთო-სახალხო სოციალისტური საკუთრებით".

ჩვენთან, სადაც საბაზრო ურთიერთობის გარემოცვის უქონლობა პრივატიზაციის ძირითადი ხელისშემშლელი პირობაა, სადაც სახელმწიფო ქონების პრივატიზება საზოგადოების ერთი ნაწილისათვის ლამის ამ ქონების მიტაცების ტოლფასოვან სტიმულად იქცა, საჭიროა ეს წინააღმდეგობა გადაილახოს ზემოდან, ე. ი. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით.

მაშასადამე, **ძლიერი, სამართლიანი და მაორგანიზებელი სამთავრობო ნება საჭიროა არა მარტო საერთოდ საზოგადოების მშვიდობიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, არამედ სახელმწიფო ქონების მიზანშეწონილად და კანონიერად პრივატიზებისათვისაც.** უთავბოლობა, ქაოსი და დღეს არსებული ეკონომიკური განუკითხაობა საზოგადოების მხოლოდ იმ ნაწილს აწყობს, რომელსაც სახელმწიფო ქონების მითვისება, მიტაცება განუზრახავს.

რესპუბლიკაში სახელმწიფო ქონების პრივატიზების დაგვიანებას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები. პირველ რიგში, ეს ალბათ გაჭიანურებული პოლიტიკური დესტაბილიზაციაა, რომლის პირობებში ვერ ხერხდება ეკონომიკის საყოველთაო მოშლილობის მეტნაკლებად მოწესრიგება. ამ ვითარებაში კი არც ერთი ეკონომიკური ღონისძიება ბოლომდე და სრულფასოვნად ვერ ხორციელდება. ეს რეალობაა და მოდით ზოგიერთ სხვა მიზეზს შევეხოთ.

თბილისის ერთ-ერთი სავაჭრო საწარმოს (ყოფილი მაღაზია „გოლიათის") გაყიდვის შემდეგ, რესპუბლიკაში ოფიციალურად, სამთავრობო გადაწყვეტილებით, ე. ი. კანონიერად, ჯერ არაფერი გაყიდულა. ვიმეორებთ, **რესპუბლიკაში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესი კანონიერად ჯერ არ დაწყებულა** (მხედველობაში არ გვაქვს ბინებისა და მიწის პრივატიზაცია).

სახელმწიფო ქონების კანონიერი პრივატიზების დაწყებას სერიოზულად აფერხებს ე. წ. **ფარული პრივატიზაცია,** რომელიც, როგორც ვლინდება, უკვე კარგა ხანია დაიწყო ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სხვადასხვა პროფილის სამრეწველო საწარმოებში და, თქვენ წარმოიდგინეთ... ბანკებშიც კი. სახელმწიფო ქონების ფარული გადასვლა ე. წ. შრომითი კოლექტივის ხელში, სინამდვილეში კი — ამ კოლექტივში ადამიანთა ერთი ჯგუფის ხელში (საწარმოს ხელმძღვანელობას პლუს ადამიანთა საქმიანი ბირთვი), დღეს სახელმწიფო ქონების გათავისების ერთ-ერთი პოპულარული მიმართულებაა და მკითხველმა იქნებ არც დაიჯეროს: ამ საქმეში მათ სულზე მოუსწრო... იჯარამ! დიახ, იჯარამ! დავაზუსტოთ: **გამოსყიდვის უფლებით გაცემული იჯარის ნებართვა საბოლოო ანგარიშით სავსებით ნიშნავს საწარმოს პრივატიზებას, მოხერხებულ, უდავიდარაბო, უიაფეს (თითქმის უფასო!) პრივატიზებას** და ამიტომ იგი შრომითი კოლექტივების მოწონებით და აქტიური მხარდაჭერით სარგებლობს. სახელმწიფო ქონებას ისინი ყიდულობენ ე. წ. საბალანსო ღირებულებით, განვადებით, მთელი საიჯარო ვადის მანძილზე ნაწილ-ნაწილ. გადახდით და ჰოი საოცრებავ! — არა საკუთარი სახსრებით, საკუთარი ჯიბის ანგარიშზე, არამედ ამავე საწარმოში მიღებული მოგების ხარჯზე.

არა, იჯარა გამოსყიდვის უფლებით დიდი აღმოჩენაა!

პრივატიზება კი რას ნიშნავს? ამავე საწარმოში მესაკუთრის უფლების მოსაპოვებლად იგივე კოლექტივი (ადამიანების იგივე ჯგუფი) საუქციონო პაექრობაში უნდა ჩაებას სხვა. ოპონენტებთან და სავსებით შესაძლებელია დამარცხებულმა დატოვოს ბრძოლის ველი (როგორც მჯობნის მჯობნი, ასევე მდიდარზე მდიდარიც არ დაილევა! ან საწარმოს მთელი ქონების მხოლოდ ერთ მცირე ნაწილზე მიიღოს საკუთრების უფლება. დანარჩენი კი კვლავ აუქციონით ან აქციებით გაიყიდოს სხვა (უცხო) პირებზე, ან კიდევ ეცადოს საკონკურსო პირობებით მესაკუთრის უფლების მოპოვებას, გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად (ამხანაგობად) და იაროს საკმაოდ გაურკვეველ პირობებში და ა. შ.

მაგრამ მოდით, საკითხი ასე დავსვათ: **გვაქვს კი ჩვენ საერთოდ კანონი იჯარის შესახებ და კანონიერია თუ არა საქართველოში ჩატარებული საიჯარო გარიგებები?**

ნუ გვიწყენენ ისინი, ვისაც არ ესიამოვნება ასეთი პასუხი („პლატონი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია"), მაგრამ მთელი სიმართლით უნდა ითქვას: **არა, ჩვენ კანონი იჯარის შესახებ რესპუბლიკაში არ გვაქვს და ყველა საიჯარო გარიგება შეიძლება უკანონოდ ჩაითვალოს.**

კანონის პროექტი საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ ჩვენს პრესაში სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა 1991 წლის 8 აგვისტოს და 11 დეკემბერს, მაგრამ იგი არავის არ დაუმტკიცებია (არც მთავრობას, არც უზენაეს საბჭოს და არც პარლამენტს). ამიტომ ჩვენს რესპუბლიკაში სამინისტროებსა და საწარმოებს შორის, ან საწარმოებსა და მათ ქვედანაყოფებს (წარმოებებს, ფილიალებს) შორის დადებული საიჯარო გარიგებები კანონიერ საფუძველს მოკლებულია.

სახელმწიფო ქონების გათავისების ეს გზა ადრეც საეჭვოდ ჩანდა, თუმცა მაშინ პრივატიზებაზე ლაპარაკი არ იყო. ამჟამად კი, პრივატიზაციის საწყის ეტაპზე, იგი იდეალური საშუალებაა, თუმცა, როგორც ითქვა, იგი უკანონო და ამიტომ ქვიშაზე აგებული აღმოჩნდა. დღეს ამაზე არავინ არ ლაპარაკობს, რადგან, როგორც ჩანს, მრავალი პირის თუ კოლექტივის ინტერესს ეხება. არადა, რაოდენ მარტივი და უმართებულოა ყოველივე ეს: ჩვენ დღემდე ვიყენებთ ყოფილი სსრკ-ს კანონს, რომლის ანალოგი ჩვენ არ შეგვიქმნია.

ალბათ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალმა ზოგიერთმა სახელმწიფომ, მაგალითად, მოლდავეთმა, გააუქმა ე. წ. საკავშირო კანონი იჯარის შესახებ (რომლის ანალოგია მას, როგორც ჩვენ, მიღებული არ ქონდა), უკანონოდ ჩათვალა სამინისტროებისა და უწყებების მიერ დადებული საარენდო ხელშეკრულებები და აუკრძალა მათ სახელმწიფო ქონების განკარგვა (1992 წ. ივნისში პრივატიზაციის პრობლემებზე ქ. თბილისში ჩატარებული საერთაშორისო თათბირ-სემინარის მასალებიდან). აი, ასე, ერთი მოქნევით, ხელისუფლების მტკიცე ხელით (რომლის აუცილებლობაზე ჩვენ ამ წერილის დასაწყისში მივუთითებდით) გადაიჭრა ფარული პრივატიზაციის ერთი დიდი პრობლემა და მაშინვე გაფართოვდა სახელმწიფო ქონების კანონიერი პრივატიზების გეოგრაფია და მოცულობა.

ჩვენთან კი როგორი სურათია? შევეხებით მხოლოდ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს.

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა პირველი რიგის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხები, სადაც შევიდა 750-მდე ობიექტი, მათ შორის საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 280-დე ობიექტია, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა კი — 345-ს აღწევს, სულ 624 ობიექტი. ამრიგად საპრივატიზაციოდ წარმოდგენილია რესპუბლიკაში მათი საერთო რაოდენობის 4 პროცენტი. იმედია, რომ საპრივატიზებო ობიექტების მომდევნო ნუსხებში ამ სფეროს საწარმოთა რაოდენობა მკვეთრად გაიზრდება, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ხდება საწყისი, ანუ ე. წ. „მცირე პრივატიზაციის" კლასიკური გზის უგულებელყოფა, პრივატიზების საუქციონო მეთოდის ფართოდ გამოყენებისათვის შეგნებულად გვერდის ავლა (რადგან უპირატესად სწორედ ამ სფეროში გამოიყენება აუქციონის ფორმა, რომელიც საერთოდ ქონების შეფასებისა და გაყიდვის ყველაზე ბუნებრივი გზაა), ან უნდა ვიფიქროთ, **რომ ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროებში ძირითადად უკვე მოხდა ფარული პრივატიზება, სახელმწიფო ქონება მითვისებული. აღმოჩნდა და სახელმწიფო ორგანოები იძულებული არიან შეურიგდნენ ამ ფაქტს.**

თუ პრივატიზების პროცესი არ **წარიმართა სახელმწიფო კანონიერების ფარგლებში და მტკიცე სამთავრობო პოლიტიკური ნებით, — ჩვენ პრივატიზაციას ვერ განვახორციელებთ.** საამისო მწვავე სიგნალები ჩვენს პრესაში უკვე მომრავლდა. მაგალითისათვის თუნდაც ა. წ. 26 აგვისტოს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში" დასტამბული მასალაც კმარა, რომელიც ახმეტის ავტოსატრანსპორტო საწარმოში ავტობუსების უკანონოდ განსხვისებას ეხებოდა. ასეთი მაგალითი უამრავია. **ეს უდიდესი სოციალური უსამართლობაა, რასაც ხალხი არ გვაპატიებს.**

მაშ, რა სფეროებში უნდა იქნეს დაწყებული პრივატიზაციის პროცესი? იგი ძირითადად მოცემულია პრესაში ამას წინათ გამოქვეყნებულ **პრივატიზაციის პროგრამაში.**

პრივატიზაცია პირველ რიგში ალბათ დაიწყება ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. თუ პოლიტიკურმა სტაბილურობამ მოგვცა საშუალება და სამთავრობო ორგანოებმა მტკიცე ნებისყოფაც გამოიჩინეს, შესაძლებელი გახდება წლეულს მეოთხე კვარტალში მოესწროს ამ სფეროების საწარმოთა საერთო რაოდენობის მესამედის ან მეოთხედის გაყიდვა, უპირატესად აუქციონით, რაც მოგვცემს თითქმის 4-6 მილიარდ მანეთამდე შემოსავალს (რომლის განაწილებისა და გამოყენების საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია). წლეულსვე შესაძლებელია უპირატესად აუქციონის წესით გაიყიდოს აგრეთვე ხილბოსტნეული კონსერვებისა და არამადნეული საშენი მასალების დარგის ზოგიერთი საწარმო, შესაძლოა ზოგიერთი წვრილი სავაჭრო საწარმოც (მათი საერთო რაოდენობის დაახლოებით მეხუთედი ნაწილი), რაც ასევე მოგვცემს 1,3-1,6 მლრდ. მანეთის შემოსავალს.

პრივატიზაცია რომ უცხო ხილია, უაღრესად რთული და მტკივნეული სოციალური პროცესია, ეს ალბათ არავის არ აეჭვებს და ამიტომ ჩამოთვლილი დარგების საწარმოების გაყიდვა საცდელად და შესასწავლად წლეულს საკმარისზე მეტიცაა. უფრო ფართოდ პრივატიზაცია მომავალი წლებიდან უნდა გაიშალოს და მასში თანდათან ჩაერთოს მსუბუქი და კვების ინდუსტრიის, საავტომობილო ტრანსპორტის, ხე-ტყისა და სავაჭრო, აგრეთვე საშენი მასალების მრეწველობის დარგები. მომდევნო წლებში კი შესაძლებელი გახდება უფრო რთულ და კომპლექსურ დარგებსაც შევეხოთ (მანქანათმშენებლობა და სხვ.).

საერთოდ კი ამ საქმეში **უსაფუძვლოდ აჩქარებას, ფაცი-ფუცით და დაუკვირვებლად მოქმედებას სჯობია საფუძვლიანი „ნელა იჩქარე" პრინციპი. დიახ, პრივატიზაცია ხანგრძლივი პროცესი იქნება და ამას ამთავითვე უნდა შევურიგდეთ.**

აქ არ შეიძლება არ ვახსენოთ ა. წ. 27 აგვისტოს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების ალტერნატიული კანონპროექტი (სადაც ფაქტობრივად პრივატიზების ერთ-ერთი პოპულისტური მეთოდია გადმოცემული), რომელიც საკითხისადმი გულუბრყვილო მიდგომით მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ **პური მეპურემ უნდა გამოაცხოს და ეკონომისტებს დაანებონ ეკონომიკის მკურნალობა.**

ზემოთ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების პრივატიზაციის შედეგად შემოსულობათა თანხა ვახსენეთ. ბუნებრივად აღიძვრის კითხვა, თუ რის საფუძველზე განისაზღვრა იგი. მით უფრო, რომ დღეისათვის არავითარი ამდაგვარი მონაცემები არ არსებობს.

საქმე ეხება საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების საბალანსო ღირებულების აფასებას (ინდექსაციის) კოეფიციენტებით, რომლებიც ითვალისწინებს საბაზრო კონიუნქტურას.

ცხადია, მკითხველი, ერთი შეხედვით, ძნელად შეურიგდება იმ გარემოებას, რომ ვთქვათ, 50 ათასი მანეთის საბალანსო ღირებულების რამე შენობა ან დანადგარი ან ძირითადი ფონდის სხვა რომელიმე სახეობა ამჟამად მას გაცილებით ძვირად მიეყიდება, ვთქვათ, იმ ფასად, რამდენიც იგი საბირჟო პირობებში გაიყიდება.

პრივატიზაციის ამ გზას, საბაზრო პირობების გათვალისწინებით ქონების საბალანსო ღირებულების აფასებას, სცნობს და იყენებს უცხოეთის ყველა სახელმწიფო. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, გაეროს რეგიონთაშორისო განვითარების განყოფილების მიერ 1991 წელს შემუშავებულ პრივატიზების პროგრამაში (შესრულებულია ძირითადად განვითარებადი ქვეყნებისათვის) მითითებულია „საწარმოს ნამდვილი საფინანსო მდგომარეობის ამსახველი საბალანსო უწყისის მომზადების აუცილებლობა. აქტივები საჭიროებენ რეალურ შეფასებას ქონების ნამდვილი ღირებულებისა და სამომავლო მომგებიანობის საფუძველზე იმის მიუხედავად, თუ როგორია ამ ქონების პირველადი ანუ „სადავთრო" (იგულისხმება საბალანსო) ღირებულება".

ასე რომ ამჟამად სახელმწიფო ქონების საბალანსო ღირებულების გადიდება საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით დავას არ იწვევს. სადავო შესაძლებელია ის იყოს, თუ რამდენად უნდა აფასდეს იგი, რადგან **მეტისმეტი გაძვირება დაამუხრუჭებს პრივატიზაციის პროცესს, იაფად შეფასება კი — სახელმწიფო ქონების მუქთად გაცემის ტოლფასი ქმედება იქნება.** მაშ სად არის ის შუალედი და რას უნდა დავეყრდნოთ ინდექსების (კოეფიციენტების) შემუშავებისას?

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ მათი შემუშავების წესი ძირითადად ექსპერტულ მიდგომებს ეყრდნობა. ერთ-ერთი მათგანია, ვთქვათ, ამგვარი მიდგომა: დავუშვათ, რომ იყიდება ავეჯის ფაბრიკა, რომლის პროდუქცია ამჟამად საშუალოდ 60-ჯერაა გაძვირებული (ანუ 6000 პროცენტით!). მაშასადამე, საწარმოს საბალანსო ღირებულებაც დაახლოებით ანალოგიური მიდგომით უნდა შეფასდეს: შენობა-ნაგებობებზე — 20-25, ხოლო მანქანა-იარაღებზე — საშუალოდ 50-60 კოეფიციენტით. მეორეგვარი მიდგომა შეიძლება ასე ავხსნათ: ახალი კაპიტალდაბანდებანი (ინვესტიციები) დღეს ადრინდელთან შედარებით 30-40-ჯერაა გაზრდილი. რადგან მოქმედი ქონების პრივატიზაცია ეხება უკვე გარკვეული ზომით გაცვეთილ ძირითად ფონდებს, ამიტომ შესაძლებელია მათი საბალანსო ღირებულება ავაფასოთ გაძვირების ინდექსის განახევრებული ოდენობით, ჩვენს შემთხვევაში, ვთქვათ 15-20 კოეფიციენტით. თუ საწარმოს შენობა ღირდა, ვთქვათ 80 ათასი მანეთი (ცვეთის გამოკლებით), მისი საწყისი საპრივატიზაციო ფასი შეიძლება განისაზღვროს 15-ჯერ გადიდებით, ანუ 1,2 მილიონი მანეთით და ა. შ. მართალია, ძვირია, მაგრამ განა ამ საწარმოს პროდუქციაც შესაბამისად (უფრო მეტადაც) არ გაძვირდა? ამასთან ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ **ქონება გადადის კერძო პირის (თუ პირების) ხელში, ადამიანი ხდება საკუთარი კაპიტალის (უძრავ-მოძრავი ქონების) მფლობელი, სოციალურად — სხვა პიროვნება, იქმნება კერძო საკუთრების ინსტიტუტი. ჩვენი საზოგადოების დიდ უმეტესობას ჯერ კიდევ არ გვაქვს გათვითცნობიერებული ამ მოვლენის პრაქტიკული შედეგი. როგორც ჩანს, ყოველივე ამას დრო სჭირდება. ასეთ პირობებში ძალიან ძნელი იქნება სოციალური სამართლიანობის შენარჩუნება (შევეშვათ პოპულისტურ ილუზიებს და ვიყოთ რეალისტები). მაგრამ მაინც ყველა შესაძლო ძალღონით უნდა ვეცადოთ ხალხის ფართო მასების, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ფენების ინტერესების დაცვა. სხვაგვარად (ჩვენ ეს არაერთხელ გვითქვამს), სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია (სოციალურ ფეთქებადსაშიშ მოვლენად გადაიქცევა.**

ჩვენი შეხედულებით, ეს სამუშაო ერთ-ერთი ყველაზე ძნელი და რთული უბანია ქონების პრივატიზაციის სამუშაოთა მთელ ციკლში. საერთოდ კი შემფასებელ-საინვენტარიზაციო კომისიების დაკომპლექტება და მათთვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა უძნელესი საქმე იქნება მშვიდობიანი დროის ეკონომიკისთვისაც კი.

ასე რომ წინ დიდი სამუშაოა და მას მართებულ, გააზრებულ ორგანიზაციაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის გამოყვანა მძიმე, გაჭიანურებული კრიზისიდან.

ადამიანის თავისუფლება დაცული უნდა იყოს

გულიკო მარკოზაშვილი

30 სექტემბერს გაიმართა რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის სხდომა, რომელმაც განიხილა ადამიანის მოტაცების ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონო აღკვეთის წინააღმდეგ ბრძოლისა და საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობისა და არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის პროფილაქტიკისა და მისი აღმოფხვრისათვის კანონების შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობის საკითხები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში დანაშაული იზრდება, არ დარჩენილა თითქმის არც ერთი რეგიონი, სადაც არ იყოს ჩადენილი მძიმე დანაშაული. მართალია, ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს არსებული განუკითხაობა, ომი, რაც ხელს უწყობს დანაშაულს, მაგრამ ამას ემატება ისიც, რომ სათანადოდ არ ფუნქციონირებენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოები, დაბალია შესაბამისი სამსახურების კვალიფიკაცია და მწირია ტექნიკური აღჭურვილობა, მათ საქმეებში გარკვეულ პირთა უკანონო ჩარევები, დანაშაულის ნამდვილი ორგანიზატორების მხილებისგან თავის არიდება, დაზარალებულთა სამართლებრივი დაუცველობა და სხვა. მართალია, ქვეყანაში მწვავე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა და ეს ხელს უწყობს დამნაშავეობის ზრდას, მაგრამ სამართალდამცველ ორგანოთა მუშაკები ამით თავს ვერ გაიმართლებენ. ხშირია შემთხვევები, როცა საქმეები აღიძვრება დაგვიანებით. ცხადია, ასეთ ხარვეზს დადებითი შედეგები ვერ მოჰყვება.

კოლეგიის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ არც ერთ თანამდებობის პირს არა აქვს უფლება ჩაერიოს კანონის საფუძველზე დაკავებული დამნაშავის გათავისუფლებაში; და თუ ეს ჩაიდინეს, საჭიროა მათი საჯაროდ მხილება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ერთიანი ძალისხმევით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მკაცრად უნდა ვამხილოთ დამნაშავენი, ადამიანის თავისუფლება დაცული უნდა იყოს.

სერიოზული მსჯელობა გაიმართა არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, ითქვა, რომ არასრულწლოვან დამნაშავეთა კვალიფიციური ჯგუფები ყოველთვის იქმნებოდა სრულწლოვანთა თაოსნობით, ახლა კი ისინი თავადაც კარგად „უძღვებიან" თავიანთ საქმეს. არასრულწლოვანთა ყოველი მეშვიდე დანაშაული თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ყმაწვილების ჩადენილია. ამას ისინი იმით ხსნიან, გვშია და გვჭირსო.

კოლეგიის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ. მან აღნიშნა, რომ საჭიროა გავაძლიეროთ საპროკურორო ზედამხედველობა. შინაგან საქმეთა ორგანოებს ჰყავთ სათანადო ძალები, რომელთაც შეუძლიათ ებრძოლონ დამნაშავეობას, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ რაც შესაძლებლობა გვაქვს, იმასაც ვერ ვიყენებთ. მუშაობა უფრო მეტი გვმართებს, რათა ხალხს რწმენა არ დაეკარგოს. შინაგან საქმეთა ორგანოების და რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი სამართლიანები უნდა იყვნენ.

მოახლოვდა დრო, როცა წყდება საკითხი — საქართველო უნდა იყოს ერთიანი, თუ დაიშალოს. ამას გადაწყვეტს 11 ოქტომბრის არჩევნები. მაგრამ დამნაშავეობის პრობლემა, რაგინდ წარმატებითაც უნდა მოეწყოს არჩევნები, მაინც დარჩება, თუ ისე ინერტულად ვებრძოლებით ყოველ დანაშაულს, როგორც ახლა ვებრძვით. ჩვენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგრამ თუ მთელი რესპუბლიკა არ ამოგვიდგა მხარში, მარტო ადმინისტრაციული ორგანოები, მილიცია და პროკურატურა ვერაფერს გახდებიან. საბოლოოდ კი ზარალდება ხალხი, რომელმაც დაკარგა რწმენა. საჭიროა ძალების მაქსიმალური დაძაბვა, რათა ხალხს რწმენა დავუბრუნოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაჩაღები, სათურქეთე ბახმაროს ტყეები და იმედიანი გურულები

ჩვენი სტუმარია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს რწმუნებული გურიის მხარეში

კონსტანტინე ბერიძე

დაიბადა 1958 წელს, დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, მოსკოვის კვების მრეწველობის მიზნობრივი აკადემია. 1989 წლის აპრილიდან იყო ოზურგეთის სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, 1990 წლის მარტიდან ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის საბჭოს წევრია. მუშაობდა ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში მეცნიერ თანამშრომლად. თუმცა თვლის, რომ ამ სფეროს ის სამუდამოდ ჩამოშორდა, რადგან თავისი ცხოვრება პოლიტიკას დაუკავშირა.

ბატონი კონსტანტინეს პოლიტიკური კრედო საქართველოში დემოკრატიული ლიბერალიზმის დაფუძნებაა, მისი აზრით, ერი არც არავისი მონა უნდა იყოს და არც არავისი უფალი. საქართველომ ორიენტაცია დასავლეთზე უნდა აიღოს, ამაში მხოლოდ მისი ხსნა.

ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

— სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულად გურიის მხარეში დავინიშნე 24 ივნისის ცნობილი მოვლენების წინ, — მოგვითხრობს ბატონი კონსტანტინე, — 23 ივნისს გურიაშიც მოხდა პატარა ექსცესი — ექსპრეზიდენტის მომხრეთა შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა ჩოხატაურის გვარდიის ახეულს და გაიტაცა ავტომატური იარაღი. ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ქუთაისის პოლიციის, აგრეთვე გვარდიისა და მხედრიონის ნაწილების ერთიანი, შეთანხმებული მოქმედებით უკვე 25 ივნისს ეს ბანდა უვნებელყოფილი იყო. ამ დღეებში ოპერატიულად და პროფესიულად იმუშავა ინფორმაციისა და დაზვერვის რეგიონულმა სამსახურმა.

— შეიარაღებული ბანდა მხოლოდ გურულებით იყო დაკომპლექტებული?

— არა მარტო გურულებით. მასში შედიოდნენ თბილისელებიც, საქართველოს სხვა კუთხეების წარმომადგენლებიც, აგრეთვე ჩოხატაურის გვარდიის ყოფილი მებრძოლები.

— ბუნებრივია, თავდამსხმელებს მხოლოდ იარაღის შოვნის სურვილი არ ექნებოდათ?

— მოგეხსენებათ, რისთვის სჭირდებოდათ მათ იარაღი. ეს არ იყო რიგითი თავდასხმა, რიგითი მოვლენა.

— ამის თქმის უფლებას, ალბათ, ისიც გაძლევთ, რომ სამეგრელოს რეგიონში ექსპრეზიდენტის მხარეზე ბევრი გურული „მოხალისეც" იბრძოდა, ბევრიც საზღვარზე იყო ჩასული.

— მე პირადად გახლდით წალენჯიხაში ცნობილი მოვლენების შემდეგ. მოსახლეობისათვის სურსათ-სანოვაგე ჩავიტანეთ გურიიდან. ადგილობრივ ხელისუფლებასთან, აგრეთვე მოსახლეობასთან საუბრებით გაირკვა, რომ „მხედრიონის" ნაწილებზე თავდასხმაში ყოფილი პრეზიდენტის მომხრე ოზურგეთელებიც მონაწილეობდნენ. ამიტომ ეს არ იყო მხოლოდ ერთი კუთხის, სახელდობრ, სამეგრელოს პრობლემა და გასაჭირი.

— ასე რომ, ძმათაკვლა, სამოქალაქო ომი მეტ-ნაკლებად გურიასაც შეეხო.

— ალბათ, მაგრამ რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას გურიაში ადგილი არ ჰქონდა. ჩვენ ცოტა სხვა პრობლემები გვაწუხებს, რომელსაც საერთო არაფერი არა აქვს პოლიტიკასთან. კერძოდ, საქმე ეხება ყაჩაღობის შემთხვევებს, ჩაის საწარმოებზე თავდასხმას — მზა პროდუქციის გატაცებას; თავს ესხმიან აგრეთვე ოჯახებს, ძარცვავენ, აწიოკებენ, მანქანების გატაცება ხომ მოდად იქცა. თუმცა ეს ძირითადად ოზურგეთის გასაჭირია. ბოლო ხანს მოხდა რამდენიმე აღმაშფოთებელი ფაქტი: ფულის გამოძალვის მიზნით მოიტაცეს თანამდებობის პირები. ამ მხრივ ოზურგეთში ძალიან ბევრი სამუშაოა. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება, თორემ მოსახლეობა უკიდურესად არის შეწუხებული ბანდიტთა თარეშით.

ოზურგეთში დაფიქსირებულია თანამდებობის პირთა გატაცების სამი შემთხვევა და ერთიც გატაცების მცდელობა.

გატაცება და რამდენიმე დღის განმავლობაში ყაჩაღთა ტყვეობაში ყოფნა უდიდეს ტრავმას აყენებს ადამიანს. ასე რომ, ისინი მორალურად განადგურებული არიან.

ჯერჯერობით ყაჩაღთა ვერც ერთი ჯგუფის დაჭერა არ მოხერხდა. რწმუნებული უკმაყოფილოა პოლიციის მუშაობით.

— ბატონო კონსტანტინე, ჩვენთვის ცნობილია, რომ გურიაში იტაცებენ არა მარტო ადამიანებს, არამედ ფერად ლითონებს, მანქანა-დანადგარებს და ხე-ტყესაც კი.

— იჩეხება ბახმაროს ტყეები. ეს მეტად მტკივნეული პრობლემაა. მიუხედავად გაწეული მუშაობისა, გურიიდან კვლავ გადის ხე-ტყე თურქეთში, ასევე ფერადი ლითონებიც...

— ნუთუ არ შეგვწევს იმის უნარი, რომ თუ ვერ მოვსპობთ, ცოტათი მაინც შევამციროთ დამნაშავეობა.

— ერთი შეხედვით, მარტივი კითხვაა, მაგრამ ყოველივე ამის და კიდევ სხვა პრობლემების გადაჭრა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როცა ყველა სახელმწიფო სამსახური გამართულად და პატიოსნად იმუშავებს.

— წავიდა ის დრო, როცა ყაჩაღები ტყეს აფარებდნენ თავს. ახლა ისინი საკუთარ სახლებში იძინებენ, ავტომობილებით დაგრიალებენ, „შეიარაღებაც" კარგი აქვთ. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ჩოხატაურსა და ლანჩხუთში ისე ვერ ყოყოჩობენ, როგორც ოზურგეთში. ლანჩხუთის მილიციის უფროსი მოწოდების სიმაღლეზეა.

აქტუალური ინტერვიუ

სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულის ფუნქცია რეგიონში საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვადასხვა სახელმწიფოებრივი სამსახურების მუშაობის კონტროლია. გარდა ამისა, უწევს მრავალი სხვა პრობლემის მოგვარება. ისეთი დროა, ყველამ ერთი საქმე უნდა აკეთოს.

— რეგიონში საწვავის გაუგონარი დეფიციტია. ეს აფერხებს ჩაის კრეფას, ნედლეულის გადატანას და გადამუშავებას. მოგეხსენებათ, მთლიანად გურიის, განსაკუთრებით კი, ოზურგეთის რაიონის ეკონომიკა ჩაის წარმოებაზეა დამოკიდებული. რა ქნას ხალხმა? ჭირს მოსახლეობის პურით მომარაგება. ხალხს შარშანდელი მოსავლის საზღაურიც არ აუღია.

— მაშ, რით ყიდულობს პურს, შაქარს, ოჯახისათვის აუცილებელ საგნებს?

— ბევრს ნისიად მიაქვს მაღაზიიდან პური, ასევე შაქარიც, რა თქმა უნდა, თუ არის.

— წლეულს უამინდობა იყო, პოლიტიკური, ეკონომიკური ქაოსი. ალბათ, მოსავლიანობაც არ არის დიდი.

— რა დასამალია, საგრძნობლად შემცირდა.

— მიუხედავად ასეთი ვითარებისა, რეგიონში დაიწყო ახალი ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბება. მოეწყო ოზურგეთის ჩაის აუქციონი. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ოქტომბრის 18-ში გაიმართება მორიგი ვაჭრობა ჩაის აუქციონზე. ოზურგეთელები რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელთა სტუმრობას ელიან.

წინა აუქციონებში მონაწილეობდნენ ყაზახეთის, რუსეთის, სომხეთისა და თურქმენეთის წარმომადგენლები. მაგრამ ჩაის პროდუქციის რეალიზაცია ძალიან გაჭირდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საქართველო ფაქტობრივად მოწყვეტილია გარე სამყაროს, მეორეც, რუსეთის ბაზარზე საკმაო რაოდენობით შემოვიდა მაღალხარისხოვანი ინდური და ჩინური ჩაი. ბატონ რწმუნებულს აქვს იმის იმედი, რომ გურულები თავიანთ აუქციონს კალკუტის, დელისა და ლონდონის აუქციონებს გაუთანაბრებენ. მაგრამ ჩაის ხარისხის გათანაბრებაც ხომ უნდა მოხდეს?

— აუცილებლად, — აგრძელებს საუბარს ბატონი რწმუნებული, — აუქციონი ამის შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა. ჩაის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება ჩვენი უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს.

— ბატონო კონსტანტინე, გურიისათვის ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო დარგების — მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის განვითარებისთვისაც ხომ არ მიგვეხედა?

— ესეც საშური, აუცილებელი საქმეა, მაგრამ საქართველოს ეკონომიკის გარედან დაგეგმვამ სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარებას დიდი დაღი დაასვა. გურიაში თუთის ბაღები იყო. ახლა გაჩეხილია. თუთის ფოთოლს აღმოსავლეთიდან ეზიდებიან.

— ჩვენი ეკონომიკის აქილევსის ქუსლი — მიწის პრივატიზაცია როგორ მიდის გურიაში?

— ეკონომიკური რეფორმის, მიწის პრივატიზაციის გატარებას პოლიტიკური სტაბილურობა სჭირდება. მიუხედავად ამისა, გურიის რეგიონში მიწის პრივატიზაცია მიმდინარეობს. მართალია, ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას, სოფლად სამეურნეო ხელმძღვანელობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დაპირისპირებას, მეზობლურ კამათს, შუღლს, მაგრამ მთავარია, რომ ეს პროცესი დაიწყო. გურულ გლეხს უბრუნდება ოდესღაც ძალით წართმეული მიწა. შესაძლებლობის მიხედვით, ზოგს ერთ ჰექტრამდე მიწა შეხვდა, მცირემიწიან სოფლებში — ცოტა ნაკლები. სახელმწიფო საკუთრებაში მიწის მხოლოდ 20 პროცენტი რჩება. ამან, ბუნებრივია, ძველი სამეურნეო რგოლის — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლა გამოიწვია. მათ მაგივრად სოფლად იქმნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, მომხმარებელთა საზოგადოებები. აგრეთვე გლეხური მეურნეობები.

— ნატანების მეურნეობასაც იგივე „განაჩენი" გამოუტანეთ?

— ნატანებში ცოტა დაგვიანდა პრივატიზაცია, მაგრამ როგორც ყველგან, მიწა იქაც მოსახლეობას დაურიგდება.

— ამრიგად, მიუხედავად ამდენი გაჭირვებისა, გურიაში ხალხი მშვიდად არის, მაინც ხუმრობისა და „კრიმანჭულის" ხასიათზეა, და 11 ოქტომბრის არჩევნებშიც გამოხატავს თავის ნებას.

— ხალხს დიდი იმედი აქვს იმისა, რომ 11 ოქტომბრის შემდეგ, როცა ახალი პარლამენტი და მისი თავმჯდომარე აირჩევა, მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვლება.

ამდენად გურიაში ამომრჩეველთა მაღალ აქტივობას უნდა ველოდეთ. საქართველომ ერთხელ უკვე, ორი წლის წინ, იწვნია არასწორი არჩევნის სუსხი და, ვფიქრობ, მეორედ აღარ ჩაიგდებს თავს განსაცდელში.

აქამდე გურიას არ ჰქონდა თავისი სამოქალაქო აეროპორტი. ახლა გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ საფეხბურთო კლუბ „გურიასა" თუ ოზურგეთის „მერცხლის" ლივერპულელი, გინდ მილანელი მოწინააღმდეგეები პირდაპირ გურიის ტერიტორიაზე დაფრინდნენ. საქმე ეხება სოფელ მერიის ყოფილი სამხედრო აეროდრომის სამოქალაქო მიზნებისათვის გამოყენებას. რწმუნებული უკვე ელაპარაკა ამის შესახებ ბ-ონ ედუარდ შევარდნაძეს. იმედია, პრობლემა გურიის სასარგებლოდ თუ ვერა, ლივერპულელთა სასარგებლოდ მაინც გადაწყდება.

ზაურ მაქარაძე.

ირაკლი ჟორდანია,

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრი.

სიმართლეს ვერ გავექცევით

ავტორიტარიზმისა და პოლიტიკური უმწიფარობის სავალალო შედეგი

ვლადისლავ არძინბამ თავისი ანტიქართული საკადრო პოლიტიკა ადმინისტრაციული და სამეურნეო დარგებიდან მეცნიერებაშიც გადაიტანა

აფხაზეთის ხელისუფლების შეუწყნარებელი და აშკარა სეპარატისტული მოქმედება, რომელმაც მკვეთრად გაამწვავა პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა მთლიანად საქართველოში, არ შემოიფარგლება მხოლოდ უკანონო პოლიტიკური ღონისძიებებით და არცთუ იშვიათად გამიზნულია აფხაზეთსა და საქართველოს დანარჩენ რეგიონებს შორის ყოველგვარი სამეცნიერო, კულტურული თუ საქმიანი ურთიერთობის გასაწყვეტად. ამის მკაფიო მაგალითია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვლადისლავ არძინბას დამოკიდებულება სოხუმის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტისადმი.

სოხუმის ინსტიტუტი რესპუბლიკის უმსხვილესი სამეცნიერო-ტექნიკური დაწესებულებაა. იგი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და საინჟინრო კადრებით; აქვს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისთვის საჭირო თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მრავალპროფილიანი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო-საწარმოო სამუშაოთა სრული ციკლით (მეცნიერული კვლევა — საკონსტრუქტორო დამუშავება—წარმოება) განხორციელების ფართო შესაძლებლობები. წლების განმავლობაში ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი შედეგები მოიპოვა ფიზიკური ველებისა და ნაწილაკების თეორიაში, პლაზმისა და მყარი სხეულის ფიზიკაში, ზესუფთა კომპოზიციური, იონლეგირებული და ზეგამტარი მასალების მიღებასა და გამოყენებაში, სითბური და მზის ენერგიის მაღალეფექტიანი გარდამქმნელების დამუშავებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში.

მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან ერთად დასახა ღონისძიებები სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში რესპუბლიკის წინაშე მდგარი ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებული სამუშაოების გაქტიურებისა და შემდგომი გაფართოების მიზნით. ინსტიტუტში ამჟამად მუშავდება მთელი რიგი მეცნიერებატევადი და რესურსდამზოგავი ტექნოლოგიები, იქმნება საწარმოო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ისეთი პროდუქცია, როგორიცაა ელექტროენერგიის თერმოელექტრული გენერატორები, თერმოელექტრული მაცივარი, არტერიული წნევისა და პულსის ელექტრული გამზომი, სხვადასხვა დანიშნულების ელექტროტექნიკური ხელსაწყოები და სხვა. ხორციელდება ღონისძიებები ისეთი პერსპექტიული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დასამთავრებლად, როგორიცაა ჩაის ხელით საკრეფი აპარატი და მისი ფოტოელექტრული კვების ბლოკი, ღვინისა და წვენების მემბრანული გაწმენდის ტექნოლოგია, რადიაქტიური და ეკოლოგიური მონიტორინგის აპარატები, ფოტოელექტრული გარდამქმნელები, ლუმინესცენციური ნათურების უტილიზაცია და სხვა.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტს საქართველოში ზესუფთა ლითონური დარიშხანის მიღებასა და მის საფუძველზე მიკრო და ოპტო-ელექტრონული ხელსაწყოების წარმოების ორგანიზაციაში.

წელს, 12 სექტემბერს, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა თხოვნით სოხუმში გახლდით. გაიმართა უაღრესად საჭირო და საინტერესო შეხვედრა ინსტიტუტის კოლექტივთან. ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ინსტიტუტს დიდი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი აქვს. მიუხედავად ბოლო ხანს შექმნილი უმძიმესი და ურთულესი მდგომარეობისა, ისახება თბილისის სამეცნიერო ორგანიზაციებთან და სამრეწველო ობიექტებთან თანამშრომლობის მეტად საინტერესო პერსპექტივები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი მასალების შექმნის, თანამედროვე ხელსაწყოებისა და აპარატურის დამზადებისთვის გამიზნული რამდენიმე საინტერესო დამუშავება.

ვფიქრობ, ერთ-ორ წელიწადში ინსტიტუტი შეძლებს გადავიდეს საკუთარ სამეურნეო ანგარიშზე და დამოუკიდებლად იარსებოს.

სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის საქართველოს ეკონომიკაში მაქსიმალური ჩართვის მიზნით ინსტიტუტის საქმიანობა განიხილა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ. მან მაღალი შეფასება მისცა ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოებს და დაავალა შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დასახონ და განახორციელონ ინსტიტუტის პერსპექტიულ დამუშავებათა საწარმოო ათვისებისა და მეურნეობის სხვადასხვა სფეროში დანერგვის ღონისძიებები. ინსტიტუტის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ყველა საჭირო პირობის შესაქმნელად და დაგეგმილი სამუშაოების ფინანსური უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით ინსტიტუტს დამატებით გამოეყო 40 მილიონი მანეთი. ამგვარად, სულ რესპუბლიკამ ინსტიტუტს წელს 68 მილიონ მანეთამდე გაუზარდა საფინანსო სახსრები. იმავე დადგენილებით სახელმწიფო საბჭომ ინსტიტუტი გაათავისუფლა ყველა გადასახადისგან 1992-93 წლებში; ამასთანავე შესაბამის სამინისტროებს დაევალათ 1993 წლიდან უზრუნველყონ კაპიტალდაბანდებების გამოყოფა მშენებარე საცხოვრებელი სახლების დამთავრების, სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების ჩატარებისა და მცირე სერიებით წარმოების მომზადების მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, მთავრობის და მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს ასეთი მზრუნველობა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მიმართ, როგორც ჩანს, აღიზიანებდათ აფხაზეთის ცალკეულ ხელმძღვანელებს და პირადად ვლ. არძინბას. მათ არათუ არ მიუღიათ რაიმე ზომები ინსტიტუტის მძიმე ფინანსური მდგომარეობის შესამსუბუქებლად, არამედ აბრკოლებდნენ კიდეც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სათანადო ღონისძიებებს; მათ ურეაგირებოდ დატოვეს მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს წინადადება აფხაზეთისა და საქართველოს დანარჩენი რეგიონების სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს შორის თანამშრომლობის გაფართოების შესახებ. უფრო მეტიც, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის უკანონო დადგენილებით ინსტიტუტის დირექტორობიდან გაათავისუფლეს ცნობილი მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რევაზ სალუქვაძე და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის სხვა, მათთვის არასასურველი წარმომადგენლებიც. ამით აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ დაარღვია კანონიერება — ინსტიტუტის ხელმძღვანელების დანიშვნა თუ გათავისუფლება საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს პრეროგატივაა და თავისი ანტიქართული საკადრო პოლიტიკა ადმინისტრაციული და სამეურნეო დარგებიდან მეცნიერებაშიც გადაიტანა.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობის გადაყენების უკანონო გადაწყვეტილების აღსასრულებლად ვლ. არძინბამ უხეში ძალაც კი გამოიყენა. მან იცოდა, რომ ინსტიტუტის მრავალათასიანი და მრავალეროვანი კოლექტივი დიდად აფასებდა და პატივს სცემდა ბატონ რ. სალუქვაძეს და მხარს არ დაუჭერდა მისი განთავისუფლების გადაწყვეტილებას, ამიტომ საქმეში ჩართო აფხაზური გვარდიის ჯარისკაცები, რომლებმაც ძალის გამოყენებით გაყარეს დაცვის მუშაკები, დაიკავეს მათი ადგილი და ინსტიტუტის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალეს დირექტორსა და მის მოადგილეებს. ეს კიდევ ერთი ფაქტია ვლ. არძინბას ავტორიტარიზმისა და პოლიტიკური უმწიფრობისა. ქართველი მეცნიერების სახელით მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრომ დაგმო აფხაზეთის ხელისუფლების უკანონო მოქმედება ვლ. არძინბასადმი გაგზავნილ წერილში და გააუქმა მისი გადაწყვეტილება. სამართლიანი აღშფოთება გამოითქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის აფხაზეთის ხელმძღვანელობისთვის გაგზავნილ წერილშიც.

ამჟამად ბატონი რევაზ სალუქვაძე და მასთან ერთად ინსტიტუტის სხვა „რეპრესირებული" თანამშრომლები აღდგენილნი არიან თავიანთ თანამდებობებზე და განაგრძობენ მუშაობას.

აფხაზეთის ხელმძღვანელობის მოქმედების მეთოდის კიდევ ერთი მაგალითია საქსტანდარტის აფხაზეთის სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ტერიტორიული ცენტრის გაუქმება. ამ გადაწყვეტილების მიღების დღესვე, ა. წ. 28 აპრილს ცენტრის ყველა თანამშრომლის ხელმოწერით მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს და საქსტანდარტის ხელმძღვანელობის სახელზე გაიგზავნა საპროტესტო წერილი ამ იურიდიულად და ფაქტობრივად უსწორო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის ხელყოფის ცდას ერთიანი ქვეყნის ფარგლებში სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის და სერტიფიკაციის სფეროში, ისე, როგორც ამას ახორციელებს მსოფლიოს ყველა ქვეყანა..

ამგვარად, ვლადისლავ არძინბა თანამიმდევრულად ებრძოდა ყველაფერს, რაც დაკავშირებულია საქართველოში სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან.

უეჭველია, რომ ეს სავალალო ფაქტი ჯეროვნად შეაფასა აფხაზეთის მთელმა მოსახლეობამ.

საღმა გონებამ უნდა გაიმარჯვოს

ვადიმ სააკაძე,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი.

ადამიანი ცხოვრების უკანასკნელ მონაკვეთზე ცდილობს ერთხელ მაინც გადაავლოს თვალი გამოვლილ გზას და მეტნაკლებად გამოცდილი გონებით და ფიქრით შეაფასოს იგი. ბევრჯერ მიფიქრია, რომ მრავალი შეცდომა დამიშვია, გადამიდგამს მოუფიქრებელი ნაბიჯიც, რაც დღემდე მაწუხებს და მტკივა. მტკივა იმიტომ, რომ ამდაგვარ შეცდომას, ეტყობა, ბევრი ჩვენგანი უშვებს და მათი ჯამი კი მოურჩენელ ჭრილობასავით ემჩნევა ქვეყანას, ერს.

არასდროს არ მიფიქრია, რომ გამეზიარებინა ეს და მრავალი სხვა გულისტკივილიც ხმამაღლა, მაგრამ ახლა გავბედე, ვინაიდან აშკარად შევიგრძენი: დადგა დრო, როდესაც დუმილი დანაშაულია. დანაშაულია, რადგან საშიშროება ელის საქმეს, რომელსაც შევწირე ჩემი სიცოცხლის ოთხ ათეულზე მეტი. ეს ის საქმეა, რომელიც ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს ეხება მეტნაკლებად. შემთხვევითია განა, როდესაც გვესმის ჩვენს ირგვლივ — ტრანსპორტში, მაღაზიაში, საპარიკმახეროში, ქუჩაში — ყველგან (გამონაკლისი არ არსებობს!) რჩევა-დარიგებანი: „თუ არ გიშველა ამ წამალმა, მაშინ ის მიიღე...", ანდა „ეგ ნემსი კი არ უნდა გაგეკეთებინა, შენთვის უკეთესია ის..." და მრავალი მსგავსი — სხვა და სხვა ვარიაციებით.

ადვილად მისახვედრია, რომ ჩემი გულისტკივილია მედიცინის დარგისადმი დღევანდელი განწყობა ჩვენს ქვეყანაში.

მახსოვს ჩემი ბავშვობის წლები, როდესაც მედიცინისადმი ლტოლვამ დასძლია ყველა დანარჩენ ახალგაზრდულ ოცნებას, ის აღფრთოვანება, რომელიც გახლდათ სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, ის განუმეორებელი ბედნიერების გრძნობა, რაც განვიცადე ახალბედა ექიმმა დამოუკიდებელი მუშაობის დაწყებისთანავე, ის დიდი მადლი, რომელიც სუფევს ჩემს სულში დღემდე და დაინერგა ჩემი დიდი მასწავლებლების მიერ.

ეს შეყვარების გრძნობა ჩემი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად გადაიქცა და სწორედ ამ გრძნობამ გამაბედვინა მომეკიდა კალმისათვის ხელი და ხმამაღლა გამომეთქვა რამდენიმე მოსაზრება, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს, ჩემში განგაშს იწვევს, მაღელვებს და მტკივა. მტკივა უზომოდ და განუწყვეტლივ.

ოც წელიწადზე მეტია, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებს ვასწავლი. დავრწმუნდი, რომ ჩვენმა დიდმა მასწავლებლებმა ჩინებული მოწაფეები აღზარდეს, რომლებიც დღეს ძალიან ცდილობენ გააგრძელონ მათ მიერ ესოდენ ბრწყინვალედ წამოწყებული საქმე, არ იშურებენ ძალას და ჯანმრთელობასაც კი, რომ გადასცენ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება ჩვენს მომავალ კოლეგებს, მაგრამ უკანასკნელ წლებში მომრავლდა ხელშემშლელ ფაქტორთა რიცხვი, რომელიც ხიფათს უქმნის მთლიანად მედიცინის დარგს ჩვენს ქვეყანაში.

რა თქმა უნდა, რომ ამის მიზეზი რთული სოციალურ-ეკონომიკურ კონგლომერატშიც მდგომარეობს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის შორეულ და ახლო ისტორიაში ამდაგვარი მძიმე პერიოდები მრავალჯერ დამდგარა, მედიცინის დარგზე კი მნიშვნელოვანი გავლენა ამ სიძნელეებს არ მოუხდენია. მედიკოსი ყოველთვის მოწინავე და წიგნიერი ინტელიგენციის ავანგარდში იდგა.

ვიფიქროთ ჩვენს მომავალზე

დღეს კი მედიცინის დარგში დევალვაციის ტენდენცია გამოაშკარავდა. შეიცვალა დამოკიდებულება მედიკოსის პროფესიისადმი და სწორედ ამან განაპირობა იმ რეზონიორთა რიცხვის სიუხვე, იმ პირთა გამრავლება, რომელნიც თავიანთ თავს უფლებას აძლევენ ჩაერიონ მკურნალობის უსაზღვროდ რთულ პროცესში, თუმცა ამ პირთა ცოდნა მედიცინის დარგში უარყოფითი ნიშნით ხასიათდება.

დამღუპველად მიმაჩნია, როდესაც სამკურნალო საქმის ათვისებას რიცხობრივად განუსაზღვრელი კონტინგენტი ცდილობს, როდესაც ამისათვის არგუმენტაცია უჩვეულო ხასიათს ღებულობს: „ყველა, ვისაც სურვილი აქვს და მიიღებს დადებით ნიშანს, ექიმობის ღირსია"... დამღუპველია, როდესაც საზოგადოებაში წარმოიშობა აზრი — „თუ შეიძლება ჩაირიცხოს სასწავლებლად 407, რატომ არ შეიძლება 477, ან სულაც 1477" და ასე... უსასრულოდ, წლების მანძილზე!

საქმე განა მარტო ის არის, რომ ჩვენს პატარა ქვეყანას არ გააჩნია მოსწავლეთა ამდაგვარი მოზღვავებული კონტინგენტის მომზადების პოტენციალი — პედაგოგები, ბაზა და სხვა. არ გააჩნია ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით — ლაპარაკი დეფიციტზე კი არ არის, არამედ არარსებობაზეა! ყოვლად დაუშვებელია, როდესაც ერთსა და იგივე ავადმყოფს ერთსა და იგივე დღეს რამდენიმე სტუდენტი სინჯავს — ამდაგვარი კონტაქტი ჯანმრთელსაც გაუჭირდება და ყველა ეთიკურ ნორმებს სცილდება.

სტუდენტი — საუკეთესო ბარომეტრია სწავლის პროცესის დონის შესაფასებლად: იგი კარგად გრძნობს შექმნილ სირთულეებს, ძალიან მონდომებულსაც კი ეკარგება შთაგონება დარგზე, ეცემა სწავლის, დასწრება-მოსწრების დონე, სტუდენტი იცრუებს გულს, კარგავს დარგისა და პროფესიისადმი ინტერესს, ვღლავთ პედაგოგებს. დარგი და პროფესია კარგავს ღირებულებას და ავტორიტეტს.

ამისდა მიუხედავად, ინსტიტუტში ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი იზრდება და სადღესისოდ შეუჩერებელი ტენდენცია მიიღო, თოვლის ზვავს დაემსგავსა, ზვავს, რომელიც გზად არაფერს და არავის არ ინდობს, რომელიც დამღუპველია...

განა საიდუმლოებაა, რომ იზრდება დაბალი კვალიფიკაციის მკურნალთა რიცხვი, რომ თვით ექიმიც კი ეძებს საქმიმო დახმარებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ. განა არ არის ეს საგანგაშო?! და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ ქვეყანას გააჩნია ყველა (ან თითქმის ყველა) პირობა — სკოლაც, ტრადიციაც, საკმაო პედაგოგიური პოტენციალიც იმისათვის, რომ მომზადდეს განსაზღვრული რაოდენობის მაღალი რანგის სპეციალისტები. ვიმეორებ — მხოლოდ განსაზღვრული კონტინგენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჩავიდენთ მძიმე დანაშაულს, გამოუსწორებელ შეცდომას, რომლის გამოც ჩვენი მომავალი თაობები შეგვაჩვენებენ და სრულიად სამართლიანადაც!

ამიტომ ვაძლევ ჩემს თავს უფლებას მივმართო ჩვენ საყვარელ თანამემამულეებს მუდარით — ვიფიქროთ ჩვენს მომავალ თაობაზე, ჩვენს შვილებზე, ჩვენს მომავალზე, ჩვენს ერზე, ნუ შევმატებთ უბედურებას ჩვენს ქვეყანას, რომელსაც სხვა სახის განსაცდელიც მოუზღვავდა. ნუ დავუმატებთ დაუფიქრებლად კიდევ ერთს — მეტად სახიფათოს, შეუწყოთ ხელი ჩვენს ქვეყანაში მაღალი კვალიფიკაციის ექიმთა მომზადების საქმეს, ნუ დავკარგავთ რეალური მდგომარეობის აღქმის უნარს, ვიყოთ ღირსეული მოქალაქენი მაშინ, როდესაც ეს ეხება საკუთარ შვილს. მჯერა, რომ საღმა გონებამ უნდა გაიმარჯვოს. შევუქმნათ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს ნორმალურ პირობებში მუშაობის საშუალება.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოები გვატყობინებენ

თურქეთის ინიციატივა

თურქეთი გამოვიდა ინიციატივით ოქტომბრის ბოლოს სტამბოლში გამართონ ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთი შუა აზიის რესპუბლიკისა და კავკასიის ლიდერების უმაღლესი დონის შეხვედრა. თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ სტამბოლში მიიწვიეს აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტებს. ვარაუდობენ ტაჯიკეთის ლიდერის მონაწილეობასაც, „თუ ვითარება ამ რესპუბლიკაში ნაკლებად დაძაბული იქნება". დემირელმა თქვა, რომ ამ შეხვედრის მომზადების მსვლელობაში იგი აპირებს იწვიოს ირანსა და პაკისტანს, რომლებიც აგრეთვე დაინტერესებული არიან კონტაქტების განვითარებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან.

მთავარსარდლის აზრი...

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მთავარსარდლის მარშალ ევგენი შაპოშნიკოვის აზრით, საჭიროა თანამეგობრობის ფარგლებში ეფექტიანი კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა. მოსკოვის გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" ფურცლებზე იგი აღნიშნავს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ვითარება რთული და წინააღმდეგობრივია, რომ მდგომარეობა თანამეგობრობის ცალკეულ რეგიონში იწვევს მთელი მსოფლიოს გაერთიანების შეშფოთებას. თანამეგობრობაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად სახელმწიფოთა მეთაურებმა ხელი მოაწერეს მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების შექმნის შეთანხმებას.

ვიზიტად სამხრეთ კორეაში

საბჭოთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი მომავალ კვირას სამხრეთ კორეას ეწვევა, რათა თავისი შეხედულება გამოთქვას კორეის ორი სახელმწიფოს შესაძლო გაერთიანების პრობლემაზე. ვიზიტი ოთხ დღეს გაგრძელდება. გორბაჩოვი შეხვდება პრეზიდენტ რო დე უს. ისინი აზრს გაუზიარებენ ერთმანეთს ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილ ვითარებასა და კორეის გაერთიანების პერსპექტივებზე.

ეროვნული ვალუტა

რუსეთის ვიცე-პრემიერის ალექსანდრ შოხინის განცხადებით, მთავრობა თავის წილ პასუხისმგებლობას კისრულობს ცენტრალურ ბანკთან ერთად ფულის ემისიისათვის. ამასთანავე მან თქვა, რომ ცენტრალური ბანკი წარმოებებსა და ფირმებს გაუმართლებლად დიდ კრედიტებს აძლევს, რომ დროებით ცენტრალური ბანკი უნდა დაექვემდებაროს რუსეთის პრეზიდენტს. შეეხო რა ეროვნული ვალუტის შექმნის ინიციატივას, მან თქვა, რომ არსებობს ამ იდეის განხორციელების სხვადასხვა ვარიანტი. ამ საკითხს გადაწყვეტენ 9 ოქტომბერს ბიშკეკში თანამეგობრობის უმაღლესი დონის შეხვედრაზე.

თითო აბზაცით

⊙ **კვირას** მოსკოვში ღრმა კონსპირაციის პირობებში გაიმართა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კომუნისტების პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს პირველი სხდომა.

⊙ **საბჭოთა** კავშირის ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა წერილობითაც უარი თქვა საკონსტიტუციო სასამართლოში მოწმედ გამოცხადებაზე. ამას იმით ასაბუთებს, რომ მოწინააღმდეგე მხარეები პროცესს თავიანთი ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებენ.

⊙ **იუგოსლავიის** საკითხზე საკოორდინაციო კომიტეტის თანათავმჯდომარეები ვენსი და ოუენი ჟენევაში შეხვდნენ ბოსნიელი სერბების ლიდერს კარაჯიჩს და ხორვატელთა თემის ხელმძღვანელს ბობანს. წინა დღეს მათ მოლაპარაკება გამართეს ბოსნია-ჰერცეგოვინის პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან იზეტბეგოვიჩთან.

გამოავლინა საგადასახადო ინსპექციამ

საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ

100 მილიონი მანეთით და მეტით შეივსო რესპუბლიკის ბიუჯეტი გარდაბნის სახელმწიფო სადაზღვევო ინსპექციის მიერ ოპერატიულად განხორციელებული პროფილაქტიკური ღონისძიების წყალობით. სარევიზიო შემოწმების პროცესში მან გამოავლინა საქართველოს ბიუჯეტისაგან დამალული კიდევ 16 მილიონი მანეთი.

— თუმცა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს გარდაბნის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსმა ოთარ პირველმა, — საწვავის დეფიციტის გამო ჩვენ შევძელით შეგვემოწმებინა რაიონის სახელმწიფო და კოოპერაციული სექტორის მხოლოდ 150 ორგანიზაცია. მათი უმრავლესობის ადმინისტრაციები, სხვადასხვა გარემოებათა მომიზეზებით, ცდილობდნენ არ გადაერიცხათ რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული გადასახადები. ერთნი — ხარჯების წამატებით, მეორენი — მოგებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის შემცირების გზით. ასე ახერხებდნენ გადასახადების ურჩი გადამხდელები „დაზოგილი" ფული გადაეტანათ საკუთარ სახსრებში. ნებისმიერ შემთხვევაში ზარალდებოდა რესპუბლიკა.

რუსეთის პრესის მიმოხილვა

(1992 წლის 30 სექტემბერი)

„დიდ ფულსაც რომ დაგპირდნენ, უკეთეს შემთხვევაში ჰოსპიტალში მოხვდებით, უარესში კი ზურგში ტყვიას დაგახლიან და ვერაფერს მიიღებთ. ამას მივხვდი", — ასე მიმართა თავის თანამემამულეებს „ლიტერატურნაია გაზეტას" ფურცლებიდან ყოფილმა დაქირავებულმა მოსკოველმა ნიკოლოზმა. გაზეთი აქვეყნებს აფხაზეთში ამ დატყვევებული „ბოევიკის" მიერ საქართველოს ტელევიზიისთვის მიცემული ინტერვიუს ნაწყვეტებს.

ტყვე აცხადებს, რომ მათ ქირაობს და ხელფასს უხდის მეთაურთა გარკვეული შემადგენლობა, და ისინივე ხოცავენ დაქირავებულებს, რათა ფული არ გადაუხადონ. როგორც ნიკოლოზი ამტკიცებს, სწორედ რუსეთის მას-მედიაში გავრცელებულმა დეზინფორმაციამ გადააწყვეტინა საომრად წასულიყო აფხაზეთში.

აფხაზეთში დატყვევებული რუსეთის მოქალაქის ინტერვიუს უკომენტაროდ აქვეყნებს „ლიტერატურნაია გაზეტას" რედაქცია.

„პარლამენტმა მოიხადა თავისი ვალი", — ასეთი სათაურით ბეჭდავს „როსიისკაია გაზეტა" ალექსანდრე ლინკოვის სტატიას, რომლის მთავარი თემაა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა აფხაზეთის შესახებ რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებათა შემდეგ. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამას მოჰყვა ქართული მხარის, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. შევარდნაძის ნეგატიური რეაქცია, რომელმაც რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებანი მიიჩნია დამოუკიდებელი სახელმწიფოს საქმეებში უშუალო ჩარევად. მასალაში გამოთქმულია აგრეთვე ეროვნულ უმცირესობებთან და რუსეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან მუშაობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ალექსანდრე სურკოვის აზრი, რომელიც უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფს ხელმძღვანელობს, აფხაზეთს რომ ეწვია კონფლიქტის დაწყებისთანავე. სურკოვს მიაჩნია, რომ რუსეთის ფედერაციის პარლამენტმა მოიხადა თავისი ვალი, როცა მიიღო გადაწყვეტილებანი, რომლებიც ამ რეგიონში რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს ითვალისწინებს. დეპუტატი ხაზს უსვამს, რომ რუსეთი, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, გულგრილად ვერ მოეკიდება ადამიანის უფლებათა დარღვევის პრობლემებს, და მისი საერთაშორისო მოვალეობაა განაცხადოს ეს. დეპუტატი განსაკუთრებით ეხება აფხაზეთში ხუთი რუსი მოქალაქის დაღუპვის ფაქტს.

„არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ სწორედ კონფედერაციის მოხალისეებმა გამოაფხიზლეს საქართველოს სახელმწიფო საბჭო. ამიტომაც შანიბოვის დაცვა „უფროსი ძმის შურისგებისგან, ყაბარდოელთა შეგნებაში მთიელთა სოლიდარობისა და ღირსების საქმე ხდება", — წერს „მოსკოვსკიე ნოვოსტის" კორესპონდენტი ლუდმილა ლეონტიევა სტატიაში „ჩეჩნური ვარიანტი ყაბარდოში?". ავტორი ამტკიცებს, რომ „რუსეთის ხელმძღვანელობა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ცალმხრივი პოზიციით იწვევს სეპარატისტულ განწყობილებებს ჩრდილოეთ კავკასიაში... აფხაზებთან ეთნიკური ნათესაობის გამო მთელი ყაბარდო, და არა სხვა ვინმე ჩრდილოეთ კავკასიაში, უკმაყოფილოა რუსეთის მთავრობის პოზიციით საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიმართ, რომელმაც აფხაზეთი სისხლით მორწყა. ყაბარდოს საზოგადოებაში მომწიფდა აზრი, რომ რუსეთში ამოქმედდა საქართველოსთან იმპერიული კორპორაციულობის ინსტინქტი მის შემადგენლობაში მყოფ მცირერიცხოვან ხალხთა მიმართ, რომლებმაც უნდა ეძებონ თავიანთი უფლებების დაცვის საკუთარი მექანიზმი". კორესპონდენტის აზრით, სწორედ კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციაა მცირერიცხოვან ხალხთა ინტერესების დამცველი.

მარინე რონდელი,

საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის პრესცენტრი

თეატრი კვლავ ცოცხალია

ჩვენ მაჩაბლის მოდგმისანი ვართ

ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, რომელიც მეორე წელია თბილისშია გამოდევნილი, ამ დღეებში დავით აღმაშენებლის პროსპექტზე, ყოფილი პოლიტგანათლების სახლში მორიგი სეზონი გახსნა. თეატრმა წარმოადგინა ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი". ჩვენ დავესწარით სპექტაკლს, რომელიც გამოირჩევა საინტერესო რეჟისურით, შესანიშნავი სამსახიობო შესრულებით. სპექტაკლის შემდეგ შევხვდით და ვესაუბრეთ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს **გიორგი გაბილაიას** და თეატრის დირექტორს **ზაზა თედიაშვილს**, აი რა გვითხრეს მათ:

ზაზა თედიაშვილი — უკვე მეორე სეზონის გახსნა გვიწევს თბილისში, სასურველი იქნება მესამე სეზონი მშობლიურ ქალაქში გავხსნათ და თბილისში მხოლოდ საგასტროლოდ ჩამოვიდეთ ხოლმე. ისედაც გადატვირთულ დედაქალაქს ჩვენ მეტი საზრუნავი დავუჩინეთ, თუმცა ძალიან გვენატრება მშობლიური გარემო, მაგრამ მარტო ჩვენზე არაა დამოკიდებული ჩვენი ბედი, ძალიან გაგვიჭირდა 56-კაციანი კოლექტივის შენარჩუნება, სადაც 28 მსახიობია, მაგრამ ცხინვალშივე შევფიცეთ ერთმანეთს, რომ რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, თეატრს კვლავ ეთეატრა, ჩვენი თეატრი ერთადერთი სულიერი საგანძურია სამაჩაბლოში და ჩვენ უფლება არა გვაქვს, რომ იოლად ვიტანდეთ უმისობას. მორალურად და მატერიალურად ბევრი ადამიანი დაგვეხმარა ამ შეჭირვების ჟამს, უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ მაჩაბლის საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი გურამ შარაძე, იგი კონსულტანტი და სამხატვრო საბჭოს წევრია ცხინვალის თეატრისა.

უამრავ პრობლემათაგან, რომელიც ჩვენ გვაქვს, უმთავრესია შენობის საკითხი. ალბათ, მალე მოგვიწევს დაკავებული შენობიდან გასვლა, რადგან იგი საგარეო საქმეთა სამინისტროს გამგებლობაშია, აქ ინგლისისა და ისრაელის საელჩოების გახსნაა ნავარაუდევი. უკვე საზრუნავი გვაქვს ახალი ჭერი, მთლად ცაში გამოკიდებული რომ არ აღმოვჩნდეთ, ამაშიც გვჭირდება საზოგადოების, პიროვნებების თანადგომა.

ყველა ლტოლვილის გულისთქმას გამოვხატავ იმით, რასაც ახლა გეტყვით: ხანდახან გვაგონებენ ზოგიერთის უპასუხისმგებლო განცხადებას იმის თაობაზე — თითქოსდა შეიძლებოდეს ცხინვალში ქართველთა დაბრუნება და ჩვენ ფეხს ვითრევთ, შეგნებულად არ ვბრუნდებით, თბილისში „ტკბილად აწყობილი" ცხოვრება არ გვინდა მოვიშალოთ, ან კიდევ გვეშინია! არცერთი ამგვარი განცხადება სიმართლეს არ შეეფერება. მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა თეატრის სახელით მთელი პასუხისმგებლობით, რომ თუკი ვინმე ქართველი შევა ცხინვალში, ჩვენ ვიქნებით პირველნი, ნუ დაავიწყდებათ, რომ მაჩაბლის მოდგმისანი ვართ.

და კიდევ ერთი, თეატრის კოლექტივი ვაკის ტურბაზაში ცხოვრობს, ამდენ საერთო გაჭირვებას რომ ვუყურებთ, სიტყვა როგორ გინდა მოგვიბრუნდეს სასაყვედუროდ, მაგრამ აშკარად უყურადღებოდ ვართ მიტოვებულნი, ძალიან მძიმედ დგას საყოფაცხოვრებო და კვების საკითხი. ჩვენ განსაკუთრებულ ზრუნვაზე კი არ ვლაპარაკობთ, არამედ ელემენტარულ ადამიანურ მოთხოვნილებებზე.

გიორგი გაბილაია: ჩემი სათქმელი ის არის, პირველ რიგში — თეატრს საშუალება მიეცეს მშობლიურ ქალაქში დაბრუნებისა, რათა თავის სცენაზე გამოვიდეს. შენობა განადგურებულია, აპარატურა დამსხვრეული, ალბათ საკუთარი ხელით უნდა აღვადგინოთ და გავამთელოთ დაქცეული თეატრი, რაც საკმაო დროს მოითხოვს. ამას გარდა, ისიც პრობლემაა, რომ ქალაქში ქართველები აღარ ცხოვრობენ ე. ი. მაყურებელი არა გვყავს, უმაყურებლო თეატრის არსებობას კი რა აზრი აქვს? თუ მთლიანად ცხოვრება არ ჩადგა კალაპოტში, ჩვენი საშველი არ იქნება.

ამჟერად სეზონი კი გავხსენით, მაგრამ მის გაგრძელებაზე რა მოგახსენოთ, ჩვენ, როგორც იცით, მალე გამოგვისტუმრებენ აქედან და თუ არა მშვიდობით დახმარება, კარდაკარ სიარული მოგვიწევს. უპირველესი საზრუნავია თეატრისათვის შენობის გამოძებნა.

ძალიან რთული შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობს ჩვენი თეატრი. სპექტაკლის დადგმის დროს („ღალატი" მაქვს მხედველობაში) მსახიობები მიდიოდნენ ომში, ჩვენ ვაჩერებდით რეპეტიციებს, ჩამოვიდოდნენ ომიდან და ვანახლებდით მუშაობას, აი ასეთ პირობებში მოგვიხდა სპექტაკლის შექმნა, განა ეს ადამიანები გმირები არ არიან? ახლა დასი მთელი შემადგენლობითაა შეკრებილი, იმიტომ რომ ცხინვალში შედარებით სიმშვიდეა. თეატრის კოლექტივს საინტერესო შემოქმედებითი გეგმები აქვს, უკვე აღდგენილია და მაყურებელს მალე ვუჩვენებთ აზიზ ნესინის პიესას „მომკალ, მომკალ ჩემო კარგო", რომელიც დადგა რეჟისორმა ზურაბ სიხარულიძემ, ახალგაზრდა რეჟისორი თორნიკე მარჯანიშვილი, რომელიც ჩემი თანაშემწე იყო „ღალატზე", წინასადიპლომო სპექტაკლს ჩვენთან დადგამს, ეს იქნება რეზო გაბრიაძის „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი".

თეატრის კოლექტივზე მინდა გითხრათ ორიოდ სიტყვა, იგი ძალიან დიდი პოტენციისაა, ჩემთვის მოულოდნელიც კი აღმოჩნდა, როცა ორი წლის წინათ ცხინვალში ჩაველი და ვნახე რა პირობებში უწევდათ მუშაობა, მაინც არ ყრიდნენ ფარ-ხმალს, ამაში ვხედავ მათ საოცარ პროფესიონალიზმს, თეატრისათვის თავგანწირვას. ისინი შეფიცულნი არიან — რადაც არ უნდა დაგვიჯდეს თეატრმა უნდა იარსებოს! აკი დღემდე პირნათლად მოვიდნენ.

გიორგი გაბილაიას თეატრალური ინსტიტუტიდან ვიცნობ, იგი ბატონ მიხეილ თუმანიშვილის მოწაფეა, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროინდელი ნამუშევრებით დაიმკვიდრა ნიჭიერი, გამორჩეული რეჟისორის სახელი. მას სიამოვნებით გაუღებდნენ კარს სხვა თეატრშიც, მაგრამ წუთითაც არ უფიქრია ცხინვალის თეატრის მიტოვება, როცა ამაზე ჩამოვუგდე სიტყვა გიორგის, ასე მიპასუხა: — ძალიან ძნელი კითხვაა, ალბათ, რაც უფრო მეტ გასაჭირს გამოივლი თეატრის კოლექტივთან ერთად, ის უფრო საყვარელი და განუშორებელია, რაც უფრო მეტ შრომას და ძალას შეალევ საქმეს, ის საქმე უფრო გიყვარს, ასე ვარ მეც. თეატრიდან ახლა წამოსვლა ღალატის ტოლფასი იქნებოდა. მე. ვერ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება ამ თეატრის გარეშე, იმდენი გაჭირვება გამოგვივლია ერთად...

ესაუბრა
გიორგი ლალიაშვილი

• • •

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ღალატი". ზეინაბი — ცისანა გიგაური, სოლეიმან ხანი — მეველუდ ხამადალაშვილი.

შალვა გოჩაძის ფოტო.

ჭორები და სინამდვილე

რატომ შეანელეს მეტროს მატარებლებმა სვლა?

თბილისის მეტროპოლიტენის მგზავრებს 30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს ჩვეულებრივზე რამდენადმე მეტხანს მოუხდათ მატარებლის ცდა. გაიზარდა შემადგენლობათა მოძრაობის ინტერვალები, შენელდა მათი სიჩქარე, და ქალაქში მაშინვე დაირხა ჭორები მეტროში ხანძრის და აფეთქების შესახებ.

— სინამდვილეში, — თქვა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსმა გურამ გაბუნიამ, — ღრმაღელე-დიდუბის გადასარბენზე დაზიანებული აღმოჩნდა ერთ-ერთი კაბელი, რამაც გამოიწვია გარკვეული შეფერხება. გარდა ამისა, იმ პირობებში, როცა ფაქტობრივად გაჩერებულია ქალაქის ავტოტრანსპორტი, მეტროპოლიტენს წილად მოდის არნახული დატვირთვა.

ახლა ტექნიკური უწესივრობა თავიდან აცილებულია. ასე რომ, პანიკის არავითარი საფუძველი არა გვაქვს. მაგრამ კონტროლის გასაძლიერებლად და წესრიგის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ ყველა შესაბამისმა სამსახურმა და ქვეგანაყოფმა სრულად შეასრულონ ამ საკითხზე ქალაქის მერიის დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს მეტროპოლიტენის ობიექტების დაცვას.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

რაჭა — საიმედო ფარი

ონის რაიონი სასაზღვრო ზონაა, საზღვრის საერთო სიგრძე 80 კილომეტრს აღემატება. ამ საზღვარზე ხუთი გადასასვლელია: მამისონის, კირტიშოს, გეზენცეკის, ლარულას და ყარაგონისა. აქედან, მამისონის გადასასვლელი საავტომობილო გადასასვლელად შეიძლება ჩაითვალოს. ამ გადასასვლელებით ავისმოსურნეებს შეუძლიათ „დაუპატიჟებლად" შემოვიდნენ ჩრდილო ოსეთიდან, სამაჩაბლოდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან. ამიტომაცაა, რომ ეროვნული გვარდიის რაჭის 30-ე ბატალიონი (უფროსი გურამ გორდეზიანი) გულდაგულ იცავს ზემოდასახელებულ გადასასვლელებს აფხაზეთში შექმნილ რთულ სიტუაციასთან დაკავშირებით.

ამბროლაურის რაიონში 60-მდე კაცმა გამოთქვა სურვილი თავდაცვის რაზმში გასაერთიანებლად. 200-მდე მონადირე საკუთარი იარაღით იცავს რაჭის უღელტეხილებს. რაიონის სამხედრო განყოფილებამ მობილიზაციისათვის მოამზადა 200-ზე მეტი სხვადასხვა სპეციალობის რეზერვისტი. მათ შორის 4 ოფიცერია. დაწყებულია სადღეღამისო მორიგეობა. საპატრულო ჯგუფები აკონტროლებენ ვითარებას მოსალოდნელი დივერსიების აღკვეთის მიზნით.

დღეისათვის სოფელ ურავში 40-მდე ქართველი ოჯახი ჩამოვიდა, ცხადია, იძულებით. ჩვენ შევხვდით, გავესაუბრეთ ზოგიერთ მათგანს. ლტოლვილებმა გვიამბეს იმ საშინელებებზე, რამაც აიძულა ეს ხალხი დაეტოვებინათ თავიანთი ადგილსამყოფელი და ამ სიშორეზე გადმოხვეწილიყვნენ.

ონის რაიონში იმ დროს ვიყავით, როდესაც სენაკიდან დაბრუნდნენ შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკები. ალბათ სამინისტრო გაითვალისწინებს ადგილობრივ მდგომარეობას, ინტერესებს და რაჭის რეგიონიდან დროებით მაინც აღარ მიავლენს სამეგრელოსა და აფხაზეთში აქაურ პოლიციელებს. ამასთანავე დღის წესრიგში მწვავედ დგას ამ რეგიონის სამხედრო ტექნიკით ოპერატიულად აღჭურვის საკითხი. როგორც ონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარემ ბატონმა რევაზ ნოდარიშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, სასაზღვრო გადასასვლელების დაცვის მიზნით სასურველია მეტი იარაღი.

გამგეობის თავმჯდომარის ძალისხმევით რაიონში შემოიტანეს კომერციული საწვავი და იგი სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებზე, რომ იტყვიან, „აფთიაქის სასწორით" განაწილდა. ეს ყოველივე მინიმალურადაც ვერ ხსნის საწვავის პრობლემას, რასაც ემატება პურის ფქვილის პრობლემაც. სატელეფონო კავშირების სისტემატური წყვეტილობა, გარკვეული შეფერხებები ელექტროენერგიით მომარაგებაში, 19 საათიდან 21 საათამდე თბილისიდან სატელევიზიო გადაცემების შეფერხება (მითუმეტეს ახლა, არჩევნების პერიოდში) კიდევ უფრო მეტად ძაბავს პოლიტიკურ ვითარებას. აქ ოპერატიულად შექმნეს მოხალისეთა ჯგუფი, რომლებშიც ათასამდე კაცი გაერთიანდა. რეზერვისტთა რიცხვი კი 100 კაცს აღემატება. სასაზღვრო სოფლების ღებისა და გლოლას მოსახლეობაც მზად არის საბრძოლველად.

გივი გეწაძე.

თუ მეხსიერების გაათკეცება გსურთ

მეხსიერების გაუმჯობესებისა და მისი მკვეთრად ამაღლების საგანგებო პედაგოგიური მეთოდების გამოყენება ადამიანს შესაძლებლობას აძლევს 8 თვის განმავლობაში აითვისოს 5.000-ზე მეტი ინგლისური ფრაზა. საშინაო დავალებაზე დღეგამოშვებით იხარჯება 20-30 წუთი. კურსებზე მიღებისათვის საკმარისი (და აუცილებელია) ინგლისური წერა-კითხვის ცოდნა. ეს ცენტრი შექმნილია და უკვე რამდენიმე წელია მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დოცენტ **შარლი ჯანჯღავას** ხელმძღვანელობით. ჩვენ მას რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.

— რას ნიშნავს მეხსიერების ამაღლება?

— თუ ერთი წუთის განმავლობაში ქართული ტექსტის წაკითხვის შემდეგ თქვენ შეიძლებთ სიტყვათა მიმდევრობის ზუსტი დაცვით დაიმახსოვროთ 10-12 სიტყვა, აბსოლუტურად გარანტირებული იქნებით, რომ აღნიშნული რვათვიანი კურსის გავლის შემდეგ დაიმახსოვრებთ 10-ჯერ მეტ ქართულიდან ან რუსულიდან ინგლისურად თარგმნილ ტექსტს სიტყვათა მიმდევრობის დაცვით.

ძირითადად ეს სჭირდებათ იმათ, ვინც ინტელექტუალურ შრომას ეწევა საზღვარგარეთთან კავშირში.

— თქვენი კურსების მოსწავლეთა შორის, ალბათ, ზოგი უფრო სწრაფად და ბევრს იმახსოვრებს, ზოგი კი ნაკლებად, არა?

— რა თქმა უნდა. ჩემს კარგ მოსწავლეებს შეუძლიათ ერთ წუთში სიტყვათა მიმდევრობის დაცვით წაიკითხონ და დაიმახსოვრონ 150-დან 300-ზე მეტი არაქართული (რუსულ-ინგლისური) სიტყვათა წყობა. ყველაზე „ცუდი" შედეგი კი 100-110 სიტყვაა. რაც უნდა დაუჯერებლად მოგეჩვენოთ ეს ციფრები, ასეთია სტატისტიკა. ჩემს პრაქტიკაში არ მახსოვს ერთი შემთხვევაც, რომ დამახსოვრება შინაარსის აღუქმელად მიმდინარეობდეს. სხვათა შორის, ჩვენთან მეცადინეობა მეხსიერებას ყოველმხრივ ავითარებს. ეს ვრცელდება ტექნიკური საგნების ათვისებაზეც.

შენ სიბეჯითე მითხარი

— არის თუ არა რაიმე განსხვავება თქვენს ადრინდელ შედეგებსა და ახლანდელ შედეგებს შორის?

— თვალ განსაჯეთ: თუ, ვთქვათ ორი წლის წინ დიდ მიღწევად ითვლებოდა 70-80 ინგლისური სიტყვის დამახსოვრება, ახლა ეს რიცხვი 300-ს აჭარბებს. წელს ჩარიცხული პირველი ჯგუფის მსმენელები 6 თვის შემდეგ შეძლებენ ერთი წაკითხვით დაწერონ ერთი გვერდის მოცულობის ინგლისური ტექსტის შინაარსი დედანთან დიდი მიახლოებით, ამავე დროს მათ განუვითარდებათ უნარი დაიმახსოვრონ და გამოიყენონ ერთხელ გაგონილი უცხო სიტყვა ან ფრაზა, თუ ისინი კურსის დამთავრების შემდეგ ინგლისურენოვან ქვეყნებში აღმოჩნდებიან.

— როგორია თქვენს კურსებზე მიღების წესი?

— ჩვენ სამი ჯგუფი გვყავს. პირველ ჯგუფში ჩაირიცხებიან 15-25 წლის ახალგაზრდები, მეორეში — 35 წლამდე ასაკისანები, მესამეში კი 35-ს ზევით. როგორც მინიმუმი, I ჯგუფში დაიმახსოვრებენ 5.000 ინგლისურ ფრაზას; II ჯგუფში — 3.500-4.000-მდე; III ჯგუფში კი 1.500-2.500-მდე. მეცადინეობა I ჯგუფში ტარდება კვირაში სამჯერ 100 წუთის განმავლობაში. II და III ჯგუფებში კი კვირაში ოთხჯერ, ამავე ხანგრძლივობით.

მსმენელებს, რომელთაც სჭირდებათ თავიანთი სპეციალობის ინგლისურ ენაზე დაუფლება, მეცადინეობა 2 საათი ექნებათ.

— დარწმუნებული ვარ, ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ რედაქციას ბევრი მკითხველი დაურეკავს უფრო დეტალური ცნობებისათვის. როგორ შეიძლება თქვენთან დაკავშირება?

— ჩვენი საკონტაქტო ტელეფონია — 37-05-47.

* * *

ბატონმა შარლი ჯანჯღავამ დაგვათვალიერებინა წარსანდელ მოსწავლეთა სამუშაო რვეულები. შედეგი მართლაც ფანტასტიკური ჩანს — 1 წუთში დაუმახსოვრებიათ 110 უცხო სიტყვა. — წაკითხულის 82 პროცენტი.

გურამ ჩიტიშვილი.

ეს ჩვენი საქართველოა!



ბერიკაცი ვარ...

ვარლამ ბენდიურის ფოტო.

სპასკი ამცირებს სხვაობას

ბელგრადში განახლებული მატჩის მეთორმეტე პარტია, რომელიც დაახლოებით 6 საათს გრძელდებოდა, 54-ე სვლაზე დასრულდა ბორის სპასკის გამარჯვებით. ახლა შეხვედრის ანგარიშია 5:3 ამერიკელი დიდოსტატის სასარგებლოდ. დღეს გაიმართება მორიგი, მე-13 პარტია, რომელშიც თეთრი ფიგურებით ფიშერი ითამაშებს.

ორთაბრძოლები ეროვნული თასისათვის

ქართული ფეხბურთის ამოუწურავი პოტენციური შესაძლებლობები კარგად გამოჩნდა ეროვნული თასის გათამაშების პირველ მეთექვსმეტედფინალურ შეხვედრაში **„დედაქალაქის „დინამოსა" და „მრეტებს"** შორის, რომელიც 30 სექტემბერს გაიმართა.

ეს შეხვედრა „მრეტებმა" მოიგო ანგარიშით — 2:0.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: **ბოლნისის „სიონი" — თბილისის „არმაზი-90" — 4:1; თბილისის „მერანი" — „ბათუმი" — 2:1; ხაშურის „ივერია"— გორის „დილა" — 1:2; მცხეთის „არმაზი" — „სამტრედია" — 3:2; ლანჩხუთის „გურია" — დუშეთის „არაგვი" — 2:0; წყალტუბოს „სამგურალი" — თბილისის „იმედი" — 6:1; თელავის „კახეთი" — თბილისის „შევარდენი-1906" — 3:3, ლაითურის „იმედი" — სოხუმის „ცხუმი" „1:4; წნორის „ქიზიყი" — გალის „მზიური" — 1:3; ჭიათურის „მაღაროელი" — ზუგდიდის „ოდიში" — 4:1; ქუთაისის „ტორპედო" — თბილისის „ანცი" — 1:1; რუსთავის „გორდა" — თერჯოლის „საპოვნელა" — 3:3; ფოთის „კოლხეთი-1913" — გურჯაანის" „ალაზანი" — 2:0.**

არ გამართულა ხობის „კოლხეთისა" და ზესტაფონის „მარგვეთის", ყვარლის „დურუჯისა" და ოჩამჩირის „ამირანის" ორთაბრძოლები.

საპასუხო შეხვედრები 4 ნოემბერს არის დანიშნული.

გამოსათხოვარი

ნუნუ ვაშაკიძე

უდროოდ წავიდა ჩვენგან კავშირგაბმულობის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, კავშირგაბმულობის მუშაკ ქალთა საქველმოქმედო ასოციაცია „მეკავშირის" პრეზიდენტი ნუნუ კონსტანტინეს ასული ვაშაკიძე.

40 წელი ემსახურა ქალბატონი ნუნუ კავშირგაბმულობის სისტემას, სადაც განვლო გზა რიგითი მონტიორიდან რადიოფიკაციის რესპუბლიკური კვანძის მთავარი ინჟინრის თანამდებობამდე.

წლების განმავლობაში იმუშავა ქალბატონმა ნუნუმ კავშირგაბმულობის სამინისტროს აპარატში. მას დიდი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკაში საქალაქთაშორისო ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციის განვითარების საქმეში, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში, რისთვისაც მინიჭებული ჰქონდა საპატიო რადისტის წოდება.

ქალბატონი ნუნუ 30 წლის განმავლობაში იყო კავშირგაბმულობის მუშაკ ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე და მისი ინიციატივით ბევრი კეთილი საქმე გაკეთდა კავშირგაბმულობის მუშაკ ქალთა და მათი შვილების საკეთილდღეოდ.

ქალბატონი ნუნუ იყო პირდაპირი და უკომპრომისო ადამიანი, საქართველოზე და თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული.

წავიდა ჩვენგან ღირსეული ადამიანი, მოსიყვარულე დედა, კარგი მეგობარი და სპეციალისტი.

მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მეგობართა და თანამშრომელთა გულში.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო; კავშირგაბმულობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირების კომიტეტი.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო და კავშირგაბმულობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირების კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუნუ კონსტანტინეს ასული ვაშაკიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო და იურისტთა დამოუკიდებელი კავშირი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი ნინიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გამოიწერეთ 1993 წლისთვის!

მაშინ, როდესაც ჩვენს გარშემო ყველაფერი ძვირდება და ფული უფასურდება, ხელმოწერა 1993 წლისთვის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე" იაფდება.

დიახ, იაფდება!

წლეულს ჩვენი გაზეთი 2 მანეთად იყიდება, გაისად ხელმომწერათათვის მანეთი და 80 კაპიკი ეღირება და 1993 წლის ბოლომდე, ინფლაციის ნებისმიერი ზრდის მიუხედავად, ამ ფასს შევინარჩუნებთ.

რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო გარანტიას გვაძლევს, რომ თითოეულ ხელმომწერს დაუგვიანებლად ჩაბარდება „საქართველოს რესპუბლიკის" ყველა ნომერი. ფოსტალიონების მომსახურებას თქვენ აფინანსებთ, პატივცემულო მკითხველებო, რადგან 80 კაპიკი, თქვენს მიერ გადახდილი მანეთის და 80 კაპიკისა, სწორედ საამისოდაა გამიზნული.

ერთადერთი ყოველდღიური

ქართული გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

„საქართველოს რესპუბლიკაზე" ხელმოწერა ნახევარი წლით მხოლოდ 234 მანეთი ეღირება, ერთი წლით — 468 მანეთი.

„საქართველოს რესპუბლიკის" გაიაფება მოწყალების გაგონოთ, თქვენთვის ხელის შეწყობაა მხოლოდ.

თქვენც, დარწმუნებული ვართ, ხელშეწყობითვე გვიპასუხებთ — გამოიწერთ „საქართველოს რესპუბლიკას" 1993 წლისთვის!

„საქართველოს რესპუბლიკა" ყველაზე იაფი პერიოდული გამოცემაა.

ხელმოწერა კიდევ უფრო იაფი დაუჯდებათ იმ მკითხველებს, რომლებსაც 1992 წლის ბოლომდე გამოწერილი ჰქონდათ ჩვენი გაზეთი და დამატებით ხელმოწერის გამოცხადების შემდეგ გადაიხდიან 5 თვის 110 მანეთი ან 4 თვის 88 მანეთი.

ეს ფული გამოაკლდება საგაზეთო ხელმოწერის ღირებულებას. ამისთვის საკმარისი იქნება „სოიუზპეჩატის" იმ განყოფილებაში, სადაც 1993 წლის ხელმოწერას გააფორმებთ, წარადგინოთ 1992 წლის წლიური ხელმოწერისა და დამატებითი ხელმოწერის ქვითრები.

ბევრი არ არის, მაგრამ მაინც შეღავათია თქვენი ოჯახის ბიუჯეტისთვის, მით უფრო, რომ საცალო ვაჭრობაში გაზეთი 3 მანეთად გაიყიდება.

ჩვენ მხოლოდ ერთმანეთით და ერთმანეთისთვის ვარსებობთ, ძვირფასო მკითხველებო!

ჩვენი ინდექსია 66434

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66434